პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 224 (12736) | ოთხშაბათი, 25 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

საშემოდგომო თესვა — დამკვრელური ფრონტი

შემოდგომა წელიწადის ოქროს ფონდია. შემოდგომაზე სოფლად იმკიან წლის ნაამაგარს. იღებენ მარცვლეულს, ბოსტნეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს, პირუტყვისათვის იმარაგებენ საკვებს, ჩაღდება რთველი.

წელს მოსავლის აღებასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის საწარმოო სამმართველოები დიდი ამოცანების წინაშე დგანან. ახლა ეყრება საფუძველი შვიდწლედის მეექვსე წლის მოსავალს. ზოგან უკვე დაიწყო საშემოდგომო თესვა. სულ მალე მასობრივად გაჩაღდება იგი. პრაქტიკით დამტკიცებული, რომ საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები მეტ მოსავალს იძლევიან, ვიდრე საგაზაფხულო კულტურები. ამიტომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელები დიდ ყურადღებას უთმობენ საშემოდგომო ხვნა-თესვას.

წელს რესპუბლიკაში საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები უნდა დაითესოს სულ მცირე 200 ათასი ჰექტარი. ხვნა-თესვა აგროვადებში რომ შეესრულოთ, საჭიროა სრულ მზადყოფნაში გვქონდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, თესლი.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის მხნე-მთესველებიც ჩაებნენ. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები შემოქმედებითად შრომობენ.

საშემოდგომო თესვის აგროვადებში შესასრულებლად პირველ რიგში საჭიროა ყოველმხრივ მომზადებული შეხვედეთ ამ საპასუხისმგებლო კამპანიას. დასათესად განკუთვნილი ნიადაგი მოხნული უნდა იყოს აგროწესების ზუსტად დაცვით, ვინაიდან კარგად მოხნული ნიადაგი უხვი მოსავლის საწინდარია. თესლის დანაკლისი უნდა შეივსოს და თესლი აყვანილ იქნას კონდიციამდე. თესვის წინ საჭიროა ორგანული და მინერალური სასუქების საკმაო დოზით შეტანა.

მინდვრის საშემოდგომო სამუშაოებისათვის ორგანიზებულად მოემზადნენ და ახლა შეუფერხებლად თესავენ ხორბალსა და ქერს სიღნაღის საწარმოო სამმართველოს მეტ წილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქ თავთავიანი მარცვლეული კულტურების დასათესად ნიადაგი აგროწესების ზუსტად დაცვით მოამზადეს, აქვთ მაღალხარისხოვანი თესლი. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიზატორები საწარმოო სამმართველოში პირველები გავიდნენ მინდვრად და მაღალხარისხოვნად დათესეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების პირველი ჰექტარები. მსგავსი მაგალითები სხვაგანაც არის. ამას აღნიშნული რაიონის მშრომელები იმიტომ აკეთებენ, რომ აქედანვე უყრიან საფუძველს 1964 წლის უხვ მოსავალს, იციან საშემოდგომო ნათესის ფასი. სიღნაღელებმა წელს 44 ათასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 19,2 ცენტნერი მარცვალი რომ მიიღეს, შაო 44,1 პროცენტით იყო შესრულებული. ასეთი ტემპით აგროვადებში ვერ შეესრულებთ მზრალი ხვნის გეგმებს.

ადგილებიდან მიღებული სიგნალები, ცალკეული სარემონტო-ტექნიკური სადგურები და კოლმეურნეობები გულგრილად ეკიდებიან ტრაქტორების, მისაბმელი იარაღებისა და სხვა მანქანების რემონტს. მაგალითად, ყვარლის რაიონში ამჟამად ნაწილი ტრაქტორები შესაკეთებელია. ამ მხრივ ნაკლოვანებებს ვხედავთ აგრეთვე გორის რაიონის სოფლების ნიქოზის, ძევერის და სხვა კოლმეურნეობებში.

ოფლის მეურნეობის დარგში წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების მოქნილ ორგანიზატორულ მუშაობაზე, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მუშაკების უნარზე. ისინი ახლა ბურად, საქმის ცოდნით უნდა გაუძღვნენ სოფლის მეურნეობას, ყველაფერი გაკეთონ ხვავისა და ბარაქის შესაქმნელად.

დასამაღავი როდია, რომ წელს ჩვენს რესპუბლიკაში ცუდი ამინდების გამო მოსავლიანობა ყველგან კარგი როდია. ამიტომ ახლა მთავარია აქედანვე ჩავუყაროთ საფუძველი მომავალი წლის უხვ მოსავალს. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა ყოველდღიურად უნდა იგრძნობოდეს. საშემოდგომო თესვის გეგმის მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში შესრულება ამის ნათელი დადასტურება უნდა იყოს.

ეჭვი არ არის საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ახალი შრომითი გამარჯვებით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეექვსე წლისთავს, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას, საფუძველს ჩაუყრიან შვიდწლედის მეექვსე წლის უხვ მოსავალს.

ბრძოლითი გამარჯვება

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც შვიდწლედის მესუთე წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, ვადამდე — 24 სექტემბრისათვის შეასრულეს მთლიანი პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა.

მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, მანგანუმის მადნის, დიდი ელექტრომანქანების, სატვირთო ავტომობილების, მაგისტრალური ელმავლების, კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობის, ცემენტის, შიფერის, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის, სამკერვალო ნაწარმის, სარეცხი მანქანების, პირველადი დამუშავების ჩაისა და ნატურალური ჩაის, საკონდიტრო და პურფუთუშეულის ნაწარმის, კონიაკის, პაპიროსისა და სიგარეტების და სხვა პროდუქციის წარმოების გეგმები.

თვის ბოლომდე სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა გეგმის გადაჭარბებით რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს. (საქდესი).

გონიერების მძლავრი ხმა

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები ერთხმად იწონებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რომელშიც ერთხელ კიდევ ჩამოყალიბებულია ხალხთა ძმობისა და მშვიდობის ლენინური საგარეო პოლიტიკა.

სურათზე: თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ საქსოვ-მოსამზადებელი საამქროს მუშები ეცნობიან საბჭოთა მთავრობის განცხადებას.

ფოტო გ. გოგობიასი.

ღირსეული პასუხი

მოსკოვი, 23 სექტემბერი. (საკდესის კორ.). მოსკოვის ავტომობილმშენებლები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას. ბევრ საამქროში გაიმართა ამ დოკუმენტის კოლექტიური კითხვა და განხილვა. სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსმა ოსტატმა, წარსულში ცნობილმა ჩქაროსანმა ხარატმა ს. ბუშუევმა თქვა:

— საბჭოთა მთავრობის განცხადებიდან ჩვენ, ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის მუშებმა, აღშფოთებით შევიტყვეთ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები კვლავ გაბოროტებით ესხმიან თავს ჩვენს ლენინურ პარტიასა და ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ისინი და მათი ხალხი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ასობით ჩინელმა ინჟინერმა და მუშამ გაიარა ჩვენს ქარხანაში საწარმოო პრაქტიკა. ათასობით მათი წერილი, დეპეშა, ფოტოსურათი ინახება ჩვენს ქარხანაში.

პირადად მე ცოტა მეგობარი როდი მყავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, მათ შორის პირველი ჩქაროსანი ხარატი შრომის გმირი მა მინ-ხე. მათ ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის და მოუწერიათ, რომ ჩინელ მუშებს მარად ეუვარებთ და პატივს სცემენ ჩვენი ქვეყნის ხალხს. დაახლოებით 150 ავტომკარხნელი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ჩანჩურის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაში. ხოლო ვინ მოთვლის, რამდენი უნიკალური მოწყობილობა დავამზადეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის! ჩვენს საამქროში. მაგალითად, პირველად საბჭოთა კავშირში გაკეთდა უზარმაზარი წნეხი, 3,5 ტონა ძალისა. ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა ეს მანქანა, მაგრამ მუშებმა გადაწყვიტეს ჩინეთში გაეგზავნათ „გოლიათი“, ხოლო თავანთითვის მერე გაეკეთებინათ ასეთი წნეხი.

სატრაბახოდ როდი მომყავს ეს ფაქტები. ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა ხალხი პატიოსნად, ღია გულით ასრულებდა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, ეხმარებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას სოციალიზმის მშენებლობაში. და აი ახლა ჩინეთის ხელმძღვანელები, რომლებმაც დაივიწყეს წინანდელი მეგობრობა, ცილს სწამებენ საბჭოთა ადამიანებს. მაგრამ სიმართლე არ დაიმალება.

მსოფლიოს ხალხებმა უკვე თქვეს თავიანთი სიტყვა

ჩემი აღშფოთება გამოიწვია „ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლის განცხადებამ“ იმ ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. ის, რასაც ჩინელი ხელმძღვანელები გაიძახიან, კარგა ხანია გასცდა ამხანაგური, პარტიული დისკუსიის ფარგლებს. ახლა ისინი აშკარად იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენი ხალხისათვის საიდუმლო აღარ არის, რომ ჩინელ ხელმძღვანელებს საამისოდ აქვთ თავიანთი განსაკუთრებული მოსაზრებანი: ისინი ცდილობენ თავი იმართლონ ჩინელი ხალხის თვალში და სურთ ჩინეთის პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში ჩადენილი შეცდომებისათვის პასუხისმგებლობა გადააბრალონ საბჭოთა კავშირს.

ჩინელმა ხალხმა იცის, თუ რა გულწრფელად შეეხაროდნენ და შეეხარიან საბჭოთა ადამიანები მის წარმატებებს, იცის თუ რა დიდ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა ადამიანები მათს ქვეყანას. რატომღაც სწორედ ამის გაგონება არ სიამოვნებთ ახლა ჩინელ ხელმძღვანელებს. სხვა ხალხთა ავტორიტეტის პატივისცემის ლენინური პრინციპის ერთგული ჩვენი ხალხი, ჩვენი მთავრობა, უანგარო დახმარებას უწევდა ჩინელ ხალხს და ფიქრადაც არ მოსდით დაამადლონ ეს. მაგრამ ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ხელის ერთი აქნევით შეიძლება უარყო, წაშალო ყოველივე, რაც ხალხთა თვალწინ ხდებოდა.

დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეუძლებელია, რომ დიდი ჩინელი ხალხი მიხვდება, გაიგებს სიმართლეს!

მსოფლიოს ხალხებმა უკვე თქვეს თავიანთი სიტყვა — მეტმა წლმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს მოსკოვის ხელშეკრულებას და ჩინელ ხელმძღვანელებს ვეღარავითარი ოინი ვერ უშველის.

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი. (საქდესი).

მხურვალე მხარდაჭერა

კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები გულდასმით გაეცნენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას.

საბჭოთა მთავრობის განცხადებიდან შევიტყეთ, რომ ჩინელი ხელმძღვანელები კვლავ ცილს სწამებენ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას.

ჩვენ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთგული ვართ ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისა, რომლებსაც საბჭოთა ხალხი კომუნიზმისაკენ მიჰყავს.

კარდანახელი მევენახეები თავიანთი სასასელო შრომით კვლავაც ასახელებენ ჩვენს პარტიას, მთავრობას.

თ. სეხნიაშვილი,
გურჯაანის რაიონის კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ლენინური გზით

მზოგლიურ კომუნისტურ პარტიას საბჭოთა ხალხი მიჰყავს კომუნიზმის ნათელი გზით, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მშრომელები გაეცნენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას. ჩვენში გულისწყრომას იწვევს ჩინელ ხელმძღვანელთა არასწორი კურსი. ისინი ცდებიან. ამას თვით ისტორიის მსვლელობა დაამტკიცებს.

ინგირის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის მშრომელები ერთხმად იწონებენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ აზრს.

ს. ებრალიძე,
ინგირის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

მხვნელ-მთესველთა შრომა, გარჯა

მექანიზატორები — მინდვრად

შვიდწლედის მეხუთე წლის შემოდგომაზე ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე მეტი ქერი და ხორბალი სიღნაღის საწარმო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ითესებოდა. ამ მხრივ ნაკლოვანებებს ვხედავთ აგრეთვე გორის რაიონის სოფლების ნიქოზის, ძევერის და სხვა კოლმეურნეობებში.

ოფლის მეურნეობის დარგში წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების მოქნილ ორგანიზატორულ მუშაობაზე, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მუშაკების უნარზე. ისინი ახლა ბურად, საქმის ცოდნით უნდა გაუძღვნენ სოფლის მეურნეობას, ყველაფერი გაკეთონ ხვავისა და ბარაქის შესაქმნელად.

დასამაღავი როდია, რომ წელს ჩვენს რესპუბლიკაში ცუდი ამინდების გამო მოსავლიანობა ყველგან კარგი როდია. ამიტომ ახლა მთავარია აქედანვე ჩავუყაროთ საფუძველი მომავალი წლის უხვ მოსავალს. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა ყოველდღიურად უნდა იგრძნობოდეს. საშემოდგომო თესვის გეგმის მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში შესრულება ამის ნათელი დადასტურება უნდა იყოს.

ეჭვი არ არის საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ახალი შრომითი გამარჯვებით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეექვსე წლისთავს, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას, საფუძველს ჩაუყრიან შვიდწლედის მეექვსე წლის უხვ მოსავალს.

დაწინაურდნენ

გარდაბნის სპეციალიზებული ტრესტის საბჭოთა მეურნეობები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დროულად ჩაატარონ საშემოდგომო ხორბლისა და ქერის თესვა. ყველგან ჩქარი ტემპით წმენდენ და კონდიციამდე აჰყავთ სათესლე მასალა. რაიონში სულ საჭიროა 35.350 ცენტნერი თესლი.

წინ მიდის ნორიოს მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა. აქ მთლიანად მოიმარაგეს ხორბლისა და ქერის თესლი. მექანიზატორებმა გ. მაჭარაშვილმა, შ. უერთაშვილმა, გ. ხორიოშვილმა და სხვებმა წარმატებით შეასრულეს საშემოდგომო კულტურების დასათესად ნიადაგის მომზადების საძოვაობა.

მექანიზატორები **ზ. ჩხიტაძე, ვ. ფრუიძე** ერთმანეთს ეჯიბრებიან ქერის თესვაში წარმატებათა მოსაპოვებლად. ისინი თესვის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ლიღოლის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები **ა. ამოიანი, ვ. გაბათაშვილი, ო. არსოშვილი**, რომლებიც ადრე დილადან გვიან საღამომდე შეუფერხებლად ამუშავებენ მანქანებს და ორმაგად ასრულებენ თესვის ყოველდღიურ დავალებას.

საშემოდგომო კულტურები სწრაფად და მაღალხარისხოვნად ითესება აგრეთვე თელეთის, დიღმის, მარტყოფის და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

პირველი ჰექტარები

საშემოდგომო ხვნა-თესვის დროულად შესასრულებლად ნაყოფიერად მუშაობენ ყვარლის საწარმოო სამმართველოში შემავალ სოფელ გავაზის კოლმეურნეობაში. აქ იკისრეს ხორბლისა და ქერის დასათესად 20 სექტემბრისათვის მოეხნათ 430 ჰექტარი.

შრომის სწორად მოწყობის შედეგად გავაზელმა მხვნელ-მთესველებმა პირობა ვადამდე გადაჭარბებით გაანაღდეს, საშემოდგომოდ მოხნეს 500 ჰექტარზე მეტი. ამასთან ერთად კოლმეურნეობას საჭირო რაოდენობით აქვს კონდიციური თესლი. თესვა დაიწყო. დათესილია პირველი ჰექტარები.

ყოველდღე აძლიერებენ საშემოდგომო ხვნის ტემპს აგრეთვე სოფლების ჭიკაანის, შაქრიანისა და ლელიანის კოლმეურნეობებში.

შეჯიბრება გაჩაღდა

— **საშემოდგომო** კულტურების თესვის აგროვადებში დასამთავრებლად მოვიმარაგებთ და სრულ კონდიციამდე ავიყვანთ 15.590 ცენტნერ სათესლე მასალას — ამ დავიზით მუშაობენ ახლა ახალციხის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ასპინძის კოლმეურნეობები, აქ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა. ამასთან ერთად უკვე დათესა 200 ჰექტარზე მეტი საშემოდგომო თავთავიანი კულტურები.

„ან-24“ მოსკოვის ცაზე

მოსკოვი, 23 სექტემბერი. (საკდესის კორ.). მოსკოვის მახლობლად ბიკოვოს აეროდრომზე დღეს სამოქალაქო ავიაციის მუშაკებმა პირველი რეისი გააცილეს ახალი თვითმფრინავი „ან-24“. მოკლე გამორბენა და მათი ვერცხლისფერი მანქანა უკვე მაღლა ცაშია. ერთი საათის შემდეგ საჰაერო ხომალდი ვორონეჟში დაეშვა.

„ან-24“ საშუალო მანძილის ხაზებზე გადაიყვანს მგზავრებს და გადაიტანს ტვირთს. ამ პატარა მანქანას შეუძლია დაჯდეს პირდაპირ მიწაზე, მის ვრცელ და ნათელ სალონში 44 სავარძელია მგზავრებისათვის. აქვს ჰაერის საკონდიციონერი დანადგარი.

მალე ახალი თვითმფრინავი მგზავრებს გადაიყვანს მოსკოვიდან კოსტრომაში, ბრიანსკში, იაროსლავლში, ტულაში და ჩვენი ქვეყნის სხვა საოლქო ცენტრებში. შემდეგში კი იგი დაკავშირებს მათ შავი ზღვის სანაპიროს კურორტებთან.

ფრანც იოსების მინაზე მოზამთრეების ახალი ცვლა გაფრინდა

ლენინგრადი, 23 სექტემბერი. (საკდესი). დღეს არქტიკაში პოლარული ავიაციის თვითმფრინავით გაფრინდა მსოფლიოში ყველაზე ჩრდილოეთის სამეცნიერო ობსერვატორიის მოზამთრეების ახალი ცვლა. სამეცნიერო ობსერვატორია მდებარეობს ფრანც იოსების მიწის არქიპელაგში კუნძულ ხეისზე.

ეს ობსერვატორია — „დრუჟნი“ ექვსი წლის წინათ შეიქმნა ჩრდილოეთ ყველაზე 81 გრადუსზე. კუნძულ ხეიასის მოზამთრეები უზრუნველყოფილი არიან ყველაფრით. აქ პავილიონები აღჭურვილია უახლესი აპარატურითა და ხელსაწყოებით ჰიდრომეტეოროლოგიური, აეროლოგიური, გეოფიზიკური, იონოსფერული და სხვა კვლევისათვის. სამეცნიერო პავილიონები ისევე, როგორც პოლარელების საცხოვრებელი სახლები ელექტროფიცირებულია, აქვთ ცენტრალური გათბობა და წყლით მომარაგება.

ლვოველ მეურნეთა წარმატება

ლვოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა 150 პროცენტით შეასრულეს. მათ სამშობლოს ბელლებში 3 მილიონ 800 ათასი ფუთი მარცვალი შეიტანეს — ერთი მილიონ 300 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა გრძელდება.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავიანთი მეურნეობები უზრუნველყვეს მარცვლეულისა და პარკოსანი მარცვლეული კულტურების თესლით და შეუდგნენ კოლმეურნეთათვის შრომადღეზე მარცვლის გაცემას. (საკდესი).

. მარინე პოპოვიჩი — საავიაციო სასწავლებლის მსმენელი

ლენინგრადი, 23 სექტემბერი. (საკდესის კორ.). ლენინგრადის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის უმაღლეს საავიაციო სასწავლებელში მესამე კურსზე მეცადინეობა დაიწყო მარინე პოპოვიჩმა — კოსმონავტ-4 ცოლმა. მარინე პოპოვიჩი პირველი ქალია, რომელიც სასწავლებელში ჩარიცხეს.

როგორც ცნობილია, მ. პოპოვიჩი უკვე 10 წელზე მეტია დაფრინავს. იგი „ილ-14“ თვითმფრინავის მეორე პილოტია. ამ წლის შემოდგომამდე მარინე პოპოვიჩი კიევის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ინჟინერთა ინსტიტუტში სწავლობდა.

მოსკოვის ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა 83 სახელმწიფომ

გრძელდება ხელმოწერა ხელშეკრულებაზე ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. საბჭოთა ეგზემპლარს ამ დოკუმენტისა, რომელსაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ყველა კონტინენტის უმეტესმა სახელმწიფოებმა, 24 სექტემბერს ხელი მოაწერა სან-მარინოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა — საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ფედერიკო ბიჯიმ.

24 სექტემბრისათვის მოსკოვში ხელშეკრულებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ხელი მოაწერეს 83 ქვეყნის რწმუნებულებმა. (საკდესი).

ამერიკის შეერთებულ შტატებში რატიფიცირებულია მოსკოვის ხელშეკრულება

ვაშინგტონი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ხმების დიდი უმეტესობით — 80 ცხრამეტის წინააღმდეგ — ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მიიღო რეზოლუცია რატიფიკაციის შესახებ და „თავისი რჩევა და თანხმობა მისცა ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, რომელსაც 1963 წლის 5 აგვისტოს მოაწერეს ხელი მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სსრ კავშირის სახელით“.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისაგან

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამხანაგი დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისაგან, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისაგან, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისაგან

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტისაგან

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხანაგი დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

ამხ. დ. ს. ზემლიანსკის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

განსვენებულ დ. ს. ზემლიანსკისთან გამოსათხოვრად ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობა ღია იქნება 25 სექტემბრის დილის 8 საათი და 30 წუთიდან, სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 9 საათზე. ამხ. დ. ს. ზემლიანსკის ცხედრის თეატრის შენობიდან გამოსვლენება მოხდება 9 საათსა და 30 წუთზე.

სამგლოვიარო მიტინგი გაიმართება თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე.

დაკრძალვა — ქ. მოსკოვში ნოვო-დევიჩის სასაფლაოზე.

უკანასკნელ საათს

ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ფ რ ო ნ ტ ი ს ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

ცოდნის ჩიჩაღდანით...

მოხუცი კოლმეურნე პავლე ალხაზიშვილი აკად გახდა... კაცს, რომელსაც ერთ დღესაც კი არ შეუძლია უწერნოდ და უგანმეთოდ გაძღოს, კარგა ხანია ბიბლიოთეკისათვის არ მიუკითხავს.

სამაგიეროდ მას ბიბლიოთეკის გამგე მიაკითხა. ჯერ ავადყოფის მდგომარეობა გაიგო, მერე ისიც შეეტყო, რომ ექიმი წიგნის კითხვას არ უკრძალავს. მეორე დღეს ბიბლიოთეკარი კვლავ ესტუმრა კოლმეურნეს და მისთვის საინტერესო ახალი წიგნები მიუტანა.

წიგნებით ოჯახების მომსახურება მტკიცედ დამკვიდრდა წყალტუბოს რაიონის ზარათის სასოფლო ბიბლიოთეკის მუშაობაში.

ამ ბიბლიოთეკას შვიდი წელია უნარიანად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს უმაღლესი განათლების მქონე კომუნისტი ვალია ჩხარტიშვილი.

სოფლის ამ ამაგდარ ადამიანს მარტო ზარათში კი არა, მთელ საწარმოო სამმართველოში იცნობენ.

მას ყველგან შეხვდებით: სასოფლო ბიბლიოთეკაშიც, — ამა თუ იმ წიგნის წაკითხვას რომ ურჩევს მკითხველს, ბრიგადებში მოწყობილ მოძრავ ბიბლიოთეკებშიც, — ახალ ლიტერატურასთან ერთად სარეკომენდაციო სიებიც რომ მიაქვს, მიხდერებსა და პლანტაციებშიც, — საველე ფურცლებს რომ უშვებს, სასოფლო საბჭოშიც — როგორც დეპუტატსა და კულტურისა და სახლიჩო განათლების მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს. მას შეხვდებით მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრის მეცადინეობებზეც, ახლა უკვე როგორც პროპაგანდისტს.

სასოფლო ბიბლიოთეკას სამი ოთახი უჭირავს. ცალკეაეკა სამკითხველო დარბაზი და წიგნსაცავი. აქ წიგნის ფონდი 4.500 ცალს აღემატება. ბიბლიოთეკას 600-მდე მუდმივი მკითხველი ჰყავს. მარტო მიმდინარე წლის რვა თვეში მათზე გაცემულია ოთხი ათასამდე წიგნი.

შედიხართ ბიბლიოთეკაში და თვვენს ყურადღებას იპყრობს პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალების, აგიტთეკ სხვა თემატიკური გამოფენები, ერთიმეორის მიყოლებით განლაგებული ლუზუნგ-პლაკატები, დიაგრამები, მოწინავეთა სპპატიო დაფა, კედლის გაზეთი...

საღამოობით, როცა ილიჩის ნათურები აკაშკაშდება, ხალასთან მიდიან აქ ადამიანები. კითხულობენ, საუბრობენ, ისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს, რადიოგადაცემებს, არჩევენ და განიხილავენ ახალ წიგნებს, ახალგაზრდები სწავლობენ ჭადრაკს, კოლმეურნე ქალები კი — კულინარიას.

ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან მოხუცი კოლმეურნეები პლატონ არიშვილი და პავლე ალხაზიშვილი, კოლმეურნე მებაღე გიგლა გრიგოლაშვილი, ბრიგადირი ვარდენ კაპჭელაშვილი, მერგოლური იაკობ სვანიძე, ახალგაზრდა მეჩიაიები ქეთო მაღლაფერიძე, გულნარა და ვენერა ძოწენიძეები, მასწავლებელი ნ. ძოწენიძე, აგრონომი ვასილ მაღლაფერიძე...

ამ ადამიანების აქტიური მონაწილეობით წელს აქ ოთხჯერ მოეწყო მკითხველთა კონფერენცია. ამას წინათ მკითხველებმა შეხვედრა მოუწყეს თავიანთი სოფლის მოწინავე ადამიანებს, საწარმოო სამმართველოს მეჩაიე შუქურებს გუგული და ვენერა ტუკვაძეებს, რომელთაგან პირველმა დღემდე 7 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ხოლო მეორემ — 5,5 ტონა. ამ შეხვედრაზე მოწინავეებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს დანარჩენ. მეჩაიეებს, და ბევრმა აქვე, ახალი ვალდებულებებიც იკისრა.

ბიბლიოთეკარს არც ათეისტური მუშაობა გამორჩენია. ცალკე მოაწყო ათეისტიკური კუთხე და სათანადო ლიტერატურის გამოფენა. რელიგიური დღესასწაულის წინადღეებში მორწმუნეები შეკრიბა და თვითონ წაუკითხა ლექცია თემაზე: „მეცნიერება და რელიგია“. მერე ბიბლიოთეკარმა და მისმა ოჯახმა რელიგიური დღესასწაულის დღესაც იმუშავეს.

სიმამაცით დაასახელა ბიბლიოთეკარმა შ. მაღლაფერიძის, პ. ალხაზიშვილის, ს. ჯანელიძისა და სხვების ოჯახები, რომლებმაც მისი გაგლენით ზეგრი აქციეს რელიგიურ ცრურწმენებს.

სასოფლო ბიბლიოთეკის გამგეს, როგორც ვთქვით, მარტოოდენ ბიბლიოთეკებში როდი შეხვდებით. და აი როცა ის, ერთადერთი მუშაკი, ადგილზე არ არის, მას საზოგადოებრივი მოადგილე ცვლის. ამიტომაც ბიბლიოთეკას გამოსასვლელი დღეები არა აქვს, მისი კარი მუდამ ღიაა.

ბიბლიოთეკარს ბევრი ე. წ. „გარესამუშაო“ აქვს. მისი ინიციატივით მოეწყო მოძრაგი ბიბლიოთეკები მე-6, მე-7 და მე-8 ბრიგადებში, ხოლო ამ დღეებში საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა გაიხსნა ბარიტის დასახლებულ პუნქტში. მისი ინიციატივით წაიკითხეს ლექციები მინდვრად გასული კოლმეურნეებისათვის და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის კინოფილმები უჩვენეს მეცხოველეებს უშუალოდ ფერმაში.

ბიბლიოთეკარი ვ. ჩხარტიშვილი მოწინავე პროპაგანდისტიც არის, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეს ხელმძღვანელობს. გასულ სასწავლო წელს წრეში 22 კომუნისტი და 8 უპარტიო კოლმეურნე იყო გაერთიანებული. ყველამ საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინა და, რაც მთავარია, წრის ყველა მსმენელი საკოლმეურნეო შრომის ავანგარდშია. მაგალითად, ამ წრის მსმენელმა ბრიგადირმა ვ. კაპჭელაშვილმა ნახევარი წლის შედეგებით კოლმეურნეობის გარდამავალი დროშა მოიპოვა. მარტო ამ ბრიგადას დღემდე უკვე მოკრეფილი აქვს 134 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმას 36 ტონით აღემატება, ხოლო ვალდებულებას — 14 ტონით.

თუმცა ბიბლიოთეკარი ვ. ჩხარტიშვილი ქმარშვილანია და ბიბლიოთეკაშიც ცოტა საქმე როდი აქვს, მან ამ ოთხი წლის წინათ მოსავლად აიღო 0,1 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, სადაც მარტო მიმდინარე წელს უკვე ერთ ტონამდე ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

— როცა ჩაის ვკრეფ, ამა გული როგორ მომთმენს, აქვე ჩემს გვერდით მომუშავე მეჩაიეებს ახალი ამბები არ ეუთქმო, გაზეთი არ წაეკითხო. აქაც, პლანტაციაშიც, ორ საქმეს ვაკეთებ, — გვითხრა მან.

სოფლის ბიბლიოთეკარი სხვა მასობრივ ღონისძიებათა ორგანიზატორიც არის. მისი ინიციატივით მოეწყო მკითხველთა კოლექტიური დასწრება ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლზე და ექსკურსია ქ. სოხუმში.

ერთი სიტყვით, ბიბლიოთეკარი ვ. ჩხარტიშვილი აგიტატორიც არის და პროპაგანდისტიც. და იგი, როგორც იდეოლოგიური ფრონტის ჯარისკაცი, ბევრ რამეს აკეთებს ადამიანთა აღზრდისათვის, იმისათვის, რომ სოფლად ახალი ძალით ჩქეფდეს მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

შ. ჯაბანაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მეცნიერთა ცხოვრებაში

ერთი კვირის განმავლობაში 20 ქვეყნის მეცნიერები, რომლებიც შეიკრიბნენ თბილისში საერთაშორისო სიმპოზიუმზე, განიხილავდნენ მათემატიკისა და მექანიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კლასიკური დარგის — უწყვეტ ტანთა მექანიკაში კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენების პრობლემას.

მეცნიერთა ფორუმი, რომელიც დღეს დამთავრდა, — გახუცადა საქართველოს კორესპონდენტს სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ნ. ი. მუსხელიშვილმა** — მიმდინარე წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენაა საერთაშორისო მეცნიერულ ცხოვრებაში. ფორუმმა გამოაკლინა კვლევის სხვადასხვა მიმართულება და მეთოდი ცოდნის ისეთ მრავალფეროვან და ფუნდამენტურ დარგში, როგორიც არის მათემატიკა და მექანიკა, მეცნიერთა მთავარი ყურადღება მიაქცია თანამედროვე ტექნიკის მიერ დასაბულ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრას. მის პროგრამაში ჰარმონიულად იყო შეხამებული ახალი თეორიული მიღწევები და კონკრეტული პრაქტიკული შედეგები.

სიმპოზიუმის თემატიკა შეიცავდა საკითხებს, რომლებიც არის მათემატიკის, ფიზიკის, მექანიკის შესაყარზე და რომლებსაც აქვთ უდიდესი რაოდენობის ტექნიკური გამოყენება, რასთანაც დაკავშირებულია სითხისა და გაზების მოძრაობის შესახებ მეცნიერების — ჰიდროაეროდინამიკისა და დრეკადობის თეორიის შესანიშნავი მიღწევანი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თვითეული თვითმფრინავის, ხომალდის, რაკეტისა და საერთოდ ყოველი თანამედროვე კონსტრუქციის გაანგარიშებაში ასე თუ ისე პოვებენ გამოყენებას შედეგები, რომლებიც მიღებულია კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის საშუალებით.

სიმპოზიუმის მუშობა მიმდინარეობდა ორ სექციაში — დრეკადობის თეორიისა და ჰიდროაეროდინამიკის სექციებში. სულ მოსმენილ იქნა 60 მოხსენება. დრეკადობის თეორიის ძირითადი ამოცანაა სხვადასხვა კონსტრუქციის სიმტკიცის გაანგარიშება. მათი დაპროექტების ეკონომიურობისათვის საჭიროა დიდი ცოდნა კონსტრუქციათა მასალების მუშაობის პირობების შესახებ. ეს საკითხები თანაბრად აისახა სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებებში. ჩემს მომხილვიათს მოხსენებაში გავაშუქე დრეკადობის თეორიაში ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ძირითადი გამოყენებანი, და კერძოდ, უწყვეტ ტანთა მექანიკაში კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტის რიცხვობრივი მეთოდების განვითარება. **ვ. ტ. კოიტერი** (ნიდერლანდი) და **ა. ნ. სნედონი** (ინგლისი) დაწერილებით შეეხნენ დრეკადობის თეორიის ზოგიერთ სპეციალურ მათემატიკურ მეთოდს. **ბ. რ. გარაბედიანის** (ამერიკის შეერთებული შტატები), **ი. რ. ლეეანდრის** (საფრანგეთი) მოხსენებებში გაშუქებული იყო მექანიკაში კომპლექსური ცვლადების გამოყენების ზოგადი საკითხები. მთელი რიგი მოხსენებანი მიეძღვნა თხელი გარსების თეორიას, ნახვრეტებისა და კუთხური წერტილების ახლოს ძაბვათა გაანგარიშებას, რომლებიც განსაზღვრელ როლს ასრულებენ ამ გაანგარიშებებში. მოხსენება, რომელიც აკადემიკოსმა **ლ. ი. სედოვმა** გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან აკადემიკოს **მ. ვ. კელდიშთან** ერთად, მოსკოვის სკოლის კლასიკურ ნაშრომთა მიმოხილვაა ჰიდროდინამიკისა და აეროდინამიკის დარგში.

სიმპოზიუმზე დიდი ყურადღება მიექცა ელექტრომაგნიტურ ველში სითხის მოძრაობის ამოცანებს — თანამედროვე ჰიდროდინამიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემას. მოხსენებათა დიდი ციკლი მიეძღვნა სითხის ზედაპირზე ტალღების თეორიას, რომელსაც ფართოდ იყენებენ გემთმშენებლობაში და ნინთან ერთად „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ გაზეთ „ისკრის“ შექმნაში. ჯგუფს მეჩიდრო კავშირი ჰქონდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან. იგი 1889 წელს მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე წარმოდგენილი იყო თავის დელეგატით (პლეხანოვი).

ფორმალურად 1903 წელს, რსდმპ II ყრილობის შემდეგ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა შეწყვიტა არსებობა. პარტიის მეორე ყრილობაზე მას წარმოდგენილი ჰყავდა თავისი ორი დელეგატი — პლეხანოვი და დეიჩი.

დღეს 80 წელი სრულდება რუსეთის პირველი მარქსისტული ჯგუფის შექმნიდან. ჯგუფის წევრებიდან არცერთი ამჟამად ცოცხალი აღარ არის. მაგრამ ცოცხლობს მათ მიერ დაწყებული დიდი საქმე. ჯგუფის მიერ დანთებული რევოლუციის პატარა ნაპერწკალი გადაიქცა დიდ ხანძრად, რომელმაც დედამიწის უდიდეს ნაწილში გადაბუგა უკუღმართობა — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ადამიანთა პატარა ჯგუფი, რომელიც კაცობრიობის დიად მომავალს სჭედდა, შეცვალეს მილიონებმა. მუშათა კლასი, რომლის გაჩენაც ნაროდნიკებს „ისტორიულ უბედურებად“ მიაჩნდათ, დღეს ისტორიული მოვლენების შეაგულშია და კაცობრიობის ბედნიერი მომავლის ჩარხს ატრიალებს.

მარქსიზმი, რომლის რუსეთში გავრცელებასაც „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის საზღვარგარეთ მყოფი წევრები თავკაცობდნენ, ხალხ გარდამქმნელ ძალად გადაიქცა. ისტორიამ უკანასკნელი ოთხმოცი წლის მანძილზე თავის ჭორომებს მიამსჭვარა მარქსიზმის მოწინააღმდეგეები — ნაროდნიკები თუ ეკონომისტები, მახისტები თუ ლიკვიდატორები, შემარცხენე ოპორტუნისტები თუ მემარჯვენენი. ისტორია ყსეეე მკაცრად მოექცევა თანამედროვე დოგმატიკოსებს, სექტანტებს და რევიზიონისტებს, რომლებიც ამაოდ ცდილობენ თავიანთი მოქმედებით ჩრდილი მიაყენონ შემოქმედებით მარქსიზმს.

უკვე ყველასთვის დღესავით ნათელია, რომ თანამედროვე დოგმატიკოსები აშკარად ცდილობენ შეაფერხონ მარქსიზმის განვითარება. ისინი იცავენ მძვეელებულ ფორმულებსა და დებულებებს. ამიტომაც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა გადაჭრილ იბრძვის დოგმატიზმისა და სექტანტიზმის წინააღმდეგ, „რომლებიც შეურიგებელ წინააღმდეგობაშია არიან რევოლუციური თეორიის შემოქმედებითს განვითარებასთან, იწვევენ კომუნისტების მოწყვეტას, იზოლაციას ფართო მასებისაგან, განუმზადებენ მათ პასიურ ლოდინს ან აქეზებენ რევოლუციურ ბრძოლაში მომემარცხენეო ავანტურისტული მოქმედებისათვის, ხელს უშლიან იმაში, რომ სწორად შეაფასონ შეცვლილი ვითარება და მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიული ძალების ინტერესებისათვის გამოიყენონ ახალი შესაძლებლობანი, რომლებიც იქმნება“ (სკკპ პროგრამა).

ჩვენი საუკუნე მარქსიზმ-ლენინიზმის ტრიუმფულ გამარჯვებათა საუკუნეა. სოციალიზმი, რომლის გარდუვალობა მეცნიერულად იწინასწარმეტყველეს მარქსმა და ენგელსმა, სოციალიზმი, რომლის აშენების გეგმა დასახა ლენინმა, დიდი ხანია რეალური სინამდვილე გახდა საბჭოთა ქვეყანაში, ღამკიდრდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. დასახულია კაცობრიობის წინსვლის მაგისტრალი. ეს მაგისტრალი სოციალიზმია. სოციალიზმის და კომუნიზმის მთავარი გზით მიდის ჩვენი დედამიწის უკვე მილიარდზე მეტი ადამიანი. მარქსიზმ-ლენინიზმით გაჩირაღდნებული გზით ადრე თუ გვიან წავა ყველა ხალხი.

გ. ნამყეგია.

ქ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს ისტორიაში ყოველ კარგ საქმეს მუდამ ჰყავდა თავისი თაოსანი. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც. ისტორია თავის საგანძურში სათუთად ინახავს ასეთ თაოსანთა სახელებს, რათა შემდგომმა თაობებმა კეთილად მოიგონონ ისინი. რუსეთში მარქსიზმის გავრცელებასაც თავისი თაოსანი ჰყავდა, და დღეს მადლიერებთ აღსავსე ჩვენი ხალხი აღნიშნავს პირველი მარქსისტული ჯგუფის — „შრომის განთავისუფლების“ შექმნის 80 წლისთავს.

დიადი დასაწყისი

რუსეთში პირველი მარქსისტული ჯგუფის — „შრომის განთავისუფლების“ 80 წლისთავი

□

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებასთან ერთად რუსეთში ვითარდებოდა, ფეხს იდგამდა მუშათა მოძრაობა. ცხოვრების არენაზე ახალი, რევოლუციური კლასის გამოჩენა დაუყოვნებლივ მოითხოვდა მისთვის შესაფერის თეორიას, რომელიც მძლავრი პროგენტორივით გაუნათებდა გზას განმათავისუფლებელ მოძრაობას. და სწორედ ასეთი თეორია იყო მარქსიზმი.

მარქსისტული ჯგუფების აღმოცენებამდე რევოლუციურ მუშაობას რუსეთში ეწეოდნენ ნაროდნიკები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ ხალხში მეცნიერული სოციალიზმის გავრცელებისათვის. ისინი ყოველმხრივ ამუხრუჭებდნენ ძალების რევოლუციურ ინიციატივას და პოლიტიკურ აქტივობას, ხელს უშლიდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პარტიის შექმნას. ამიტომაც მარქსიზმი რუსეთში შეიძლებოდა გაზრდილიყო და განმტკიცებულიყო მხოლოდ ნაროდნიკობასთან ბრძოლაში. და მართლაც ასე მოხდა.

თავისი უმკაცრესი რეჟიმით რუსეთში მარქსიზმის გავრცელების ყველაზე მთავარი მოწინააღმდეგე იყო მეფის ხელისუფლება, რომელიც კიდევ უფრო საშიხელი შეიქმნა ალექსანდრე II მოკვლის შემდეგ. და სწორედ ასეთ ვითარებაში 1883 წელს აღმოცენდა პირველი მარქსისტული ჯგუფი. ეს იყო ჯგუფი „შრომის განთავისუფლება“, რომელიც გ. პლეხანოვმა შექმნა საზღვარგარეთ, ქენევაში. ეს ჯგუფი გამოვიდა პროგრამული განცხადებით, რომ საბოლოოდ წყვეტს კავშირს ნაროდნიკობასთან და რომ აუცილებელია შეიქმნას რუსეთის მუშათა კლასის პარტია. ჯგუფმა პლეხანოვს გარდა შედიოდნენ პ. ბ. აქსელროდი, ლ. გ. დეიჩი, ვ. ი. ზასულიჩი, და ვ. ნ. იგნატოვი.

გ. ვ. პლეხანოვი აღიე თვითონ იყო ნაროდნიკი. რევოლუციური მოღვაწეობისათვის მას სდევნიდა მეფის მთავრობა და იგი იძულებული გახდა სახლვარგარეთ წასულიყო. აქ იგი გაეცნო მარქსიზმს და გახდა მისი გამორჩენილი პროპაგანდისტი.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ფ. ენგელსთან, სწერდნენ მას წერილებს და წლების მანძილზე იღებდნენ მისგან სახელმძღვანელო მითითებებს. ფ. ენგელსი გულდასმით ადევნებდა ყურადღებას რუსეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარებას, და როცა შეიტყო რუსეთში პირველი მარქსისტული ჯგუფის შექმნა, აღფრთოვანებული მიესალმა მას. 1885 წლის 23 აპრილს გ. ზასულიჩისადმი გაგზავნილ წერილში ენგელსი წერდა: „... მე ვამაყობ იმით, რომ რუს ახალგაზრდობაში არსებობს პარტია, რომელმაც გულწრფელად და უშინაშნოდ გაიზიარა მარქსის ეკონომიური და ისტორიული თეორიები... თვითონ მარქსი ასეგე იამაყებდა ამით, ცოტა მეტი რომ ეცოცხლა“.

ზუსტად ოთხმოცი წლის წინათ პლეხანოვის ჯგუფმა თავის დევიზად გამოაცხადა სამი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. პირველი, რუსეთში მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელება; მეორე, ნაროდნიკობის კრიტიკა მარქსიზმის პოზიციებიდან; მესამე, რუსეთის ცხოვრების გაშუქება მარქსიზმის პოზიციებიდან. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისაკენ იყო მიმართული „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მთელი საქმიანობა, მისი ლიტერატურული მოღვაწეობა.

ფასდაუდებელი მუშაობა გასწიეს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებმა რუსეთში მარქსიზმის გასავრცელებლად. მათ პირველად თარგმნეს რუსულ ენაზე მარქსისა და ენგელსის შრომები: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ — პლეხანოვის თარგმანი — გამოიცა 1882 წელს, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“ — დეიჩის თარგმანი — გამოიცა 1883 წელს, „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“ — ზასულიჩის თარგმანი— გამოიცა 1884 წელს და სხვ. ჯგუფის წევრები არა მარტო თარგმნიდნენ, ავრცელებდნენ მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებს, არამედ თვითონაც წერდნენ წიგნებსა და ბროშურებს, სადაც პოპულარულად განმარტავდნენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს.

პირველად მარქსისტულმა ჯგუფმა აღმართა მარქსიზმის დროშა რუსულ საზღვარგარეთულ პრესაში იმ დროს, როცა რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. თვითონ ცხოვრება, შექმნილი ვითარება მოითხოვდა ამ მოძრაობისათვის გზის გაკაფვას პირველ რიგში თეორიულად, იდეურად. ამ მიმართულებით დიდი როლი შეასრულეს პლეხანოვის ისეთმა შრომებმა, როგორიც არის „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, „ჩვენი უთანხმოებანი“, „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“ და სხვ. ამ შრომებზე სწავლობენ მეცნიერები და იზრდებოდნენ მარქსისტები რუსეთში.

პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ვ ა მოგვცა ნაროდნიკების შემცდარ შეხედულებათა მარქსისტული კრიტიკა. მან ნათლად დაასაბუთა, რომ ნაროდნიკების შეხედულებებს საერთო არაფერი აქვთ მეცნიერულ სოციალიზმთან. წინააღმდეგ ნაროდნიკების შეხედულებისა, პლეხანოვი მარქსისა და ენგელსის შრომებზე დაყრდნობით ყოველმხრივ ასაბუთებდა, რომ რუსეთი უკვე დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და რომ არ არის ქვეყნად ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაახვევინოს მას ამ გზიდან.

ფუ კი ნაროდნიკები რუსეთში პროლეტარიატის გაჩენას უყურებდნენ როგორც თავისებურ „ისტორიულ უბედურებას“ და ვერ ამჩნევდნენ მის როლს საზოგადოების განვითარებაში, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრები და მისი მეთაური პლეხანოვი პროლეტარიატში ხედავდნენ მთავარ რევოლუციურ ძალას, რომელსაც წარმომზადა კაპიტალიზმის განვითარება. პლეხანოვი თანმიმდევრულად მოითხოვდა განვითარებინათ პროლეტარიატში კლასობრივი შეგნება და დაერაზმათ იგი იმისათვის, რომ შეეძლო თავისი მუშური პარტია. ამბობდა რომ პროლეტარიატი ყველაზე რევოლუციური კლასია და რევოლუციაში არაფერს დაკარგავს, გარდა თავისი ბორკილებისა. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ანალიზით პლეხანოვმა ცხადყო მარქსის იმ დებულების ცხოველმყოფელობა, რომ ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა, რომ სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა განუყოფელნი არიან.

ნაროდნიკებმა არ იცოდნენ და არ ესმოდათ საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონები და იდეალიზმში დაბრიალობდნენ. მათთვის მთავარი იყო გმირი, გამორჩენილი პიროვნება, ხოლო ხალხი, მასები, კლასები — ისტორიის ბრმა მაჩანჩალა. შრომის განთავისუფლების ჯგუფის წევრებმა და გამსაკუთრებით პლეხანოვმა საკადრისი პასუხი გასცეს ნაროდნიკების ამ მცდარ შეხედულებას. პლეხანოვმა პირველმა აღიმაღლა ხმა პიროვნების კულტის წინააღმდეგ და მარქსისტულ მატერიალიზმზე დაყრდნობით ყოველმხრივ ასაბუთებდა, რომ რუსეთი უკვე დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და რომ არ არის ქვეყნად ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაახვევინოს მას ამ გზიდან.

ნაროდნიკები რუსეთში პროლეტარიატის გაჩენას უყურებდნენ როგორც თავისებურ „ისტორიულ უბედურებას“ და ვერ ამჩნევდნენ მის როლს საზოგადოების განვითარებაში, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრები და მისი მეთაური პლეხანოვი პროლეტარიატში ხედავდნენ მთავარ რევოლუციურ ძალას, რომელსაც წარმომზადა კაპიტალიზმის განვითარება. პლეხანოვი თანმიმდევრულად მოითხოვდა განვითარებინათ პროლეტარიატში კლასობრივი შეგნება და დაერაზმათ იგი იმისათვის, რომ შეეძლო თავისი მუშური პარტია. ამბობდა რომ პროლეტარიატი ყველაზე რევოლუციური კლასია და რევოლუციაში არაფერს დაკარგავს, გარდა თავისი ბორკილებისა. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ანალიზით პლეხანოვმა ცხადყო მარქსის იმ დებულების ცხოველმყოფელობა, რომ ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა, რომ სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა განუყოფელნი არიან.

„შ რ ო მ ი ს განთავისუფლების“ 80 წლისთავზე

შრომა — ყველა სიკეთის წყარო

მეორე სიაახალგაზრდავეს გინიდის ახლა სავარდო და სამაისო ქუთაისი. ქალაქის მშრომელები ყოველ ცისმარე დღეს ახალი რწმენითა და იმედით ხვდებიან. ეს რწმენა აღაფრთოვანებს მათ კომუნიზმის ნათელი და გრანდიოზული შენობის აგებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი დღეების ჰეროიკის სიმფონიად ეღერს გაზეთ „ქუთაისის“ 14 სექტემბრის ნომერი, რომელიც მთლიანად ქალაქის მშრომელთა სასახელო საქმეებს, მათში კომუნისტური თვისებების აღზრდას და ადამიანთა თავდადებული შრომით მოპოვებულ სიკეთეს ასახავს.

ნომერი იხსნება მოწინავე წერილით „დოვლათი შრომით იქმნება“. მასში ნათქვამია:

—„შრომას საბჭოთა ადამიანებისათვის მოაქვს სიხარული, ეხმარება მათ უნარიანა და ნიჭის გაფურჩქვნაში. სწორედ ამიტომ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ესოდენ დიდი ყურადღება დაუთმო შრომისადმი პატივისცემისა და სიყვარულის აღზრდას. ეს უნდა გახდეს მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის დედაზრი. თვითეულმა ჩვენგანმა თავის პოსტზე უნდა იშრომოს შეგნებულად და შთაგონებით, თავისი აგური შემატოს კომუნიზმის ნათელ შენობას. ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ადამიანთა მაგალითს, მათი ცხოვრების გამოცდილების ფართოდ ჩვენებას“.

შემდეგ გაზეთი ქალაქის ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითებით განამტკიცებს ამ დებულებებს.

როგორც ცნობილია, 1951 წლის 18 აგვისტოს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ქართული ავტომობილი, მაგრამ ახლა ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ დაჭრიან ქუთაისის მარკის ავტომატარებელი, ციმენტსაზიდები, თვითსაცლელები, სატვირთო ავტომანქანები, ავტომობილი „კოლხიდა“.

„ეს წარმატება იმით იქნა მიღწეული, — ნათქვამია წერილში „ბედნიერი გზა!“, რომ ქარხანაში გაბედულად ინერგება ახალი ტექნიკა, თანმიმდევრულად ხორციელდება საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ამის ინიციატორები და სულისჩამდგმელები მოწინავე ინჟინერები, ტექნიკოსები და მუშები არიან. სასახელო და საამაყოა ის, რომ საბჭოთა კავშირში პირველად ქართველმა ავტომობილმშენებლებმა დაამზადეს პნევმატური საკიდები, რომლებიც წარმატებით ცვლიან რეზორებს. ამასთან ავტომობილმშენებლები გამოვიდნენ ზეგეგმითი ეკონომიისათვის, შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შექმნისათვის ჭეშმარიტად დიდი წამოწყების ინიციატორებად...“

ქარხნის კოლექტივი ყოველწლიურად ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს. მან წარმატებით გაანაღდა მიმდინარე წლის 8 თვის დავალება. აქ ერთი წუთითაც არ წყდება შემოქმედებითი შრომა იმისათვის, რომ ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადონ საქართველოს კპ XXII ყრილობას.

ნომერში მკითხველი გაეცნობა მასალებს, რომლებიც ასახავენ ქუთაისის ამრეშუმკომბინატს, ელექტრომექანიკური ქარხნის, მინის ტაროს ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივების სახელოვან შრომითს საქმეებს.

მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის შექმნის იდეას ქართველმა ავტომობილმშენებლებმა ამ ექვსეოდე წლის წინათ შეასხეს ფრთები. ტრაქტორმა „რიონმა“ თავისი საკიდი და მისაბმელი იარაღებით გამოცდა ბრწყინვალედ ჩაიბარა და საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მარტო სოფლის მეურნეობაში კი არა, კომუნალურ მეურნეობაშიც გამოსაყენებელია ეს კარგი მანევრირების მქონე, მცირე ზომის, მაგრამ საკმაოდ მძლავრი ტრაქტორი.

„თავდადებით შრომობენ ტრაქტორმშენებლები, — ნათქვამია წერილში „მოდის ქართული ტრაქტორი“—გასული წელი მათ საამაყო მაჩვენებლებით დამამთავრეს. სახაქონლო პროდუქციის გეგმა 112,4 პროცენტით შეასრულეს, ხოლო საერთო პროდუქციისა — 110.2 პროცენტით. კიდევ უფრო დიდი ამოცანების წინაშე დგანან ტრაქტორმშენებლები წელს. მათი ვალდებულებაა საწარმოო გეგმა საქართველოს კპ XXII ყრილობისათვის გაანაღდონ. ნიჭიერმა ახალგაზრდა კოლექტივმა წელს „ტრუ-16“ ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ და ცატრუსების მექანიზებული ფუმიგატორი აითვისა. ახლა ტრაქტორმშენებლები ამისათვის იბრძვიან, რომ კომუნისტური შრომის ჭარხნის კოლექტივის სახელი მოიპოვონ. ასეთი გადაწყვეტილებები გამსჭვალული, შრომის ფერხულში ჩაბმული ტრაქტორმშენებლები წარმატებას წარმატებაზე აღწევენ. ამაზე მეტყველებს მიმდინარე წლის რვა თვის შედეგები. ქარხანამ ჩოგორც სერთო, ისე სახაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 111,3 პროცენტით შეასრულა. ამასთან 7.081 მანეთი ეკონომია გასწია“.

ინტერესით იკითხება ნომერში გამოქვეყნებული სხვა წერილებიც. აქ ნახავთ მასალებს ქუთაისელი მელიტოპონრეებისა და მათი ლენინგრადელი თანამოსაქმეების მეგობრობაზე, ქვის შესანიშნავი ოსტატების მამაშვილ ამეცაძეების გამოცდილებაზე, ნარკვევებს ინჟინერ-პედაგოგ დ. მხეიძეზე, გამყოფელ მ. ტუქვაძეზე, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ შ. ხაჟალიაზე, ჯ. მსხვილიძის კომუნისტური შრომის ბრიგადის საქმიანობაზე და სხვ.

ნომერი გემოვნებით არის ილუსტრირებული.

„ინჟინრის დღე“ მაღაროში

ჭიათურა. (საკ. კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინეს კალინინის სახელობის მაღაროს ორგანიზაციებმა, როცა ამას წინათ აქ „ინჟინრის დღე“

საქართველოს
დედაქალაქი ცნობილი მეიმოსეობა
ცხოვრება

მართალი გზა

ულან-ბატორი, 23 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. გავრილენკო იუწყება: „საბჭოთა მთავრობის მშვიდი და დასაბუთებული განცხადება პასუხად ჩინეთის ხელმძღვანელთა მყვირალა და შეურაცხმყოფელ გამოხდომებზე მოსკოვის ხელშეკრულების წინააღმდეგ ერთხელ კიდევ უჩვენებს მსოფლიოს ყველა ადამიანს, თუ როგორ ზრუნავენ საბჭოთა ხალხი და სსრ კავშირის მთავრობა ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისათვის, თუ რა ერთგულად იცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს“, განაცხადა თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ულან-ბატორის რკინიგზის უფროსის მოადგილემ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის დეპუტატმა ნ. ცერენოროვმა.

ყველა ადამიანს დედამიწაზე, თქვა ცერენოროვმა, სურს იცხოვროს მშვიდობის პირობებში, სურს, რომ არასოდეს არ გამეორდეს წინა მსოფლიო ომების საშინელებანი, რომელთა გაზრდა ერთიანად შეუძლია თერმოატომურ იარაღს. სწორედ ამის მიღწევას ისახავს მიზნად მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ. მოსკოვის ხელშეკრულება პირველი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე. ამას ვერ ხედავენ ან არ სურთ დანახვა მხოლოდ ჩინეთის ხელმძღვანელებს.

საბჭოთა მთავრობის ახალ განცხადებაში, ხაზგასმით აღნიშნა ცერენოროვმა, სრულიად სწორად და არსებითად მიეცა მკაცრი პასუხი ჩინეთის ხელმძღვანელთა ავანტიურისტულ პოზიციას ატომური იარაღის ფლობის საკითხში. საბჭოთა კავშირის ატომური იარაღი, რომელიც მთელი სოციალისტური ბანაკის ინტერესებს ემსახურება, საკმარისია იმისათვის, რომ უკუვაგდოთ თავდასხმა ყოველ სოციალისტურ ქვეყანაზე და აგლაგმოთ აგრესორები.

სოფია, 23 სექტემბერი. (საკდესი). „ხალხებს მშვიდობა უნდათ და არა თერმოატომური ომი“, „ავანტიურიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალი გონების გამარჯვებისათვის!“, „პეკინელი ფალსიფიკატორები კვლავ ამხილეს!“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ დღეს ბულგარეთის ცენტრალური გაზეთები თავიანთ კომენტარებს საბჭოთა მთავრობის განცხადების გამო ჩინეთის ხელმძღვანელთა ავანტიურისტული გამოშვული საქმიანობის თაობაზე.

საბჭოთა მთავრობის განცხადება, ნათქვამია გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ სარედაქციო სტატიაში, ახალ შუქს ფენს ჩინეთის ხელმძღვანელთა მოქმედებას, მათ საშიშ პროვოკაციებს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე

□

ცხოვრებამ, განაგრძობს გაზეთი, დაადასტურა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის სისწორე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, რომლებსაც მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, არიან ხალხთა სანუკვარ მისწრაფებათა ერთგული გამომხატველები, გამომხატველები მათი მისწრაფებისა მშვიდობისადმი, იმისადმი, რომ სახელმწიფოთა სადავო საკითხები გადაიჭრას არა შეიარაღებულ შეტაკებათა გზით, არამედ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, საგანგებო სამართლიანად აფრთხილებს ჩინეთის ხელმძღვანელებს, რომ ოდნავადაც არ დათმობს თავის სწორ პრინციპებს, არ აპყვება რაიმე ავანტიურისტულ გამოხდომას პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც იგი ახორციელებს.

ბულგარელი კომუნისტები, ბულგარელი ხალხი, წერს დასასრულ „რაბოტნიჩესკო დელო“, მხურვალედ უჭერენ მხარს სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ სამართლიან პოზიციას. ეს პოზიცია სწორ პოზიციად მიგვაჩნია. ასეთია ჩვენი პარტიისა და ჩვენი მთავრობის პოზიციაც. არ არის ისეთი ძალა, რომელიც ამ სწორ ლენინურ გზას აიცდენს საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას.

ჩინეთის ხელმძღვანელთა მოქმედება, ნათქვამია გაზეთ „ოტეჩესტვენ ფრონტის“ სტატიაში, დიდ ზიანს აყენებს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს.

ვარშავა, 23 სექტემბერი. (საკდესი). პოლონეთის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა დღეს „ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლის 1 სექტემბრის განცხადების“ გამო საბჭოთა მთავრობის განცხადების მეორე ნაწილის ვრცელი შინაარსი. გაზეთები „ტრიბუნა ლუდუ“ და „ულლინე ვოლნოსტი“ აქვეყნებენ სსრ კავშირის მთავრობის განცხადების მეორე ნაწილის სრულ ტექსტს. „ყოველ ვარშავის“ სათაურში მოპყავს სიტყვები: „მოსკოვის ხელშეკრულების შედეგად წაეგეს ომის ძალებმა — გაიმარჯვა მშვიდობის საქმემ“.

საბჭოთა მთავრობის განცხადების შინაარსი არაერთხელ გადასცა პოლონეთის რადიომ და ტელევიზიამ.

ბერლინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). სათაურით „კლასებისა და სახელმწიფოს განვითარება სოციალიზმის დროს“ გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა დღეს სტატია, რომელშიც აკრიტიკებს ჩინეთის ხელმძღვანელთა ანტიმარქსისტულ პოზიციას ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში. სტატიაში მოყვანილია ვ. ი. ლენინის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ საჭიროა სოციალისტური დემოკრატიის განუწყვეტელი განვითარება, და ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ასეთი ამოცანის განხორციელებისათვის, როგორც დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირის პრაქტიკა, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო თანდათანობით უნდა გადაიქცეს მთელი ხალხის სახელმწიფოდ.

ჩინეთის ხელმძღვანელები, აღნიშნავს გაზეთი, სიტყვით აღიარებენ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ასეთ დიალექტიკურ პროცესს, ხოლო საქმით მოქმედებენ ისე, თითქოს პროლეტარიატის დიქტატურა გაქვავებულიყოს და აღარ წარმოუდგეს მისი შემდგომი განვითარება. ყველა ფაქტის მიუხედავად, ისინი გვარწმუნებენ, რომ, „სანამ არსებობს სახელმწიფო, იგი არ შეიძლება იყოს მთელი ხალხის სახელმწიფო“. თავისი პოზიციის „დასაბუთებისათვის“ ისინი იმოწმებენ იმ ფაქტს, რომ ყველა სოციალისტურ ქვეყანაში ჯერ კიდევ არის კლასები. ამას არავინ არ უარყოფს. მაგრამ კლასები სოციალიზმის განვითარების პროცესში ძირეულად იცვლებიან, კლასების ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და ბევრ სხვა სოციალისტურ ქვეყანაში აღარა აქვს ანტაგონისტური ხასიათი.

დ. ს. ზემლიანსკის ცხედართან

დიდი მწუხარებით შეიტყეს საქართველოს მშრომელებმა, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის წინ, სადაც დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკის ცხედარი ასვენია, გადმოფენილია წითლად მოარშიებული შავი კრეპის ლენტები.

დარბაზში, რომელიც ალისფერი და შავი აბრეშუმით არის მოფარდაგებული, ყვავილებში ჩაფლულ პოსტამენტზე დგას კუბო.

გუშინ, 24 სექტემბერს დღის 12 საათიდან თბილისელები ეთხოვებოდნენ დ. ს. ზემლიანსკის ცხედარს.

თეატრის შესასვლელისაკენ უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი, რათა გამოეთხოვოს ადამიანს, რომელმაც თავმდაბლობით, შრომისმოყვარეობითა და პრინციპულობით კომუნისტების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის პატივისცემა და ავტორიტეტი დაიმსახურა.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად მოვიდნენ ქარხნებისა და ფაბრიკების, დაწესებულებების მუშები და მოსამსახურეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, მოსწავლე ახალგაზრდობა. კუბოსთან დგანან დ. ს. ზემლიანსკის ნათესავები.

გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. ყოველ სამ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულში დგანან თბილისის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, საწარმოების, მშენებლობებისა და დაწესებულებების კოლექტივების წარმომადგენლები.

საღამოს 8 საათია. იწყება სამოქალაქო პანაშვიდი. მდუმარედ მიდიან კუბოსთან მშრომელები. ისინი პატივს სცემენ დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკის ნათელ სსოვნას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს, ხალხის, პარტიის უანგარო სამსახურს მიუძღვნა.

საპატიო ყარაულში დგებიან გ. პ. მჟავანაძე, გ. ნ. პოსტოლოვი, ფ. ნ. ტალანკინი, ა. ტ. სტეპანენკო.

მათ ცვლიან შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ი. კუჭავა, დ. ი. ჩოგოვაძე, მ. მ. ლელაშვილი.

საპატიო ყარაულში დგანან გ. ა. გეგეშიძე, რ. ი. ფრუიძე, ა. ე. მელაძე. გარინდული დგანან საპატიო ყარაულში საბჭოთა არმიის მეომრები. გაისმის სამგლოვიარო მელოდია. ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი ასრულებს შოპენის, ფალიაშვილის, გრიგის, ჩაიკოვსკის, ბეთჰოვენის ნაწარმოებებს.

დარბაზში განუწყვეტლივ შემოდის ხალხის ნაკადი.

25 სექტემბერს საქართველოს დედაქალაქის მშრომელები გამოეთხოვებიან დ. ს. ზემლიანსკის, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მათ გულში. (საქდესი).

იზოლაციის იზრდეგა

კაირო, 24 სექტემბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ ყველა ეკონომიური, სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობა გაწყვიტა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან.

ეს გადაწყვეტილება, ნათქვამია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის ჰამედ ზინდოს გუშინ გამოქვეყნებულ ბრძანებულებაში, მიღებულია აფრიკის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების აديس-აბების კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ბენ ბელა: ჩვენ უკან ვერ დავუხევენებენ

პარიზი, 24 სექტემბერი. (საკდესი). „ჩვენ მთელ წარმოების საშუალებებს ალეირელ მშრომელებს გადავცემთ“, — განაცხადა გუშინ პრეზიდენტმა ბენ ბელამ ქალაქ ალეირში სამეგზო საწარმოს გახსნის ცერემონიაზე, რომელიც თვითმმართველობის კომიტეტის კონტროლს დაექვემდებარება, იუწყება ფრანს პრესის საგაზეთო.

„მე მტკიცედ ვაცხადებ, რომ ოდნავაც ვერ დაგვახევინებენ უკან სოციალისტური გზიდან“. „ეს ცერემონია, — განაგრძო მან, — მოეწყო ისტორიულ მომენტში, როცა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა არჩეული სოციალისტური გზა, რაც ნიშნავს, რომ წარმოების საშუალებანი იმათ გადაეცემა, ვინც თავაუღებლივ შრომობს“.

პრეზიდენტ ბენ ბელამ თქვა, რომ წინათ შრომის ნაყოფი ფრანგ ბურჟუებს რჩებოდათ, და განაცხადა: „ჩვენ აღარ გვსურს პარაზიტების რიცხა, რომლებიც უბრალო მშრომელის შრომის ხარჯზე სუქდებიან“.

დე გოლეა დაიწყო საფრანგეთში მოგზაურობა

პარიზი, 24 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტმა დე გოლმა მორიგი მოგზაურობა დაიწყო საფრანგეთში, ამჯერად სამხრეთ-აღმოსავლეთის დეპარტამენტებში. ეს დე გოლის მეოცე მოგზაურობაა საფრანგეთში პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში.

გაზრდა გრნოში

პარაგა, 23 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ბრნოში დაიხურა V საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობდა 45 ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება და ფირმა. ორი კვირის განმავლობაში ბაზრობას ეწვია 800 ათასზე მეტი ჩეხოსლოვაკიელი მოქალაქე, აგრეთვე 30 ათასზე მეტი საზღვარგარეთელი სტუმარი.

საბჭოთა კავშირმა ბაზრობაზე დადო რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის კონტრაქტები. ამ კონტრაქტების საფუძველზე სსრ კავშირი ჩეხოსლოვაკიას მიაწვდის საფეიქრო მანქანების, მსუბუქი ავტომობილების „მოსკვიჩისა“ და „ვოლგის“, სამარცვლე კომბაინების, ტრაქტორებისა და სხვა მანქანების პარტიებს. დიდმნიშვნელოვან კონტრაქტებს მოაწერა ხელი სსრ კავშირმა აგრეთვე სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და კაპიტალისტური სახელმწიფოების მთელ რიგ ფირმებთან.

ბრნოს ბაზრობა იყო დიდმნიშვნელოვანი რეგიონ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოებს შორის ეკონომიური კავშირის განმტკიცებაში, წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი ვაჭრობისა და განვითარების პრობლემებზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის მომზადების გზაზე.

სანეჯვო მძარცველები

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). რამდენიმე დღის წინათ გაძარცვეს, რაც უფრო ჩხრეკას ჰგავდა, საბჭოთა გაზეთის „იზვესტიის“ საკორესპონდენტო პუნქტი ნიუ-იორკში. ნიუ-იორკის სანაღვლო პოლიციამ დღემდე ვერ აღმოაჩინა დამნაშავეები.

21 სექტემბერს უჩინარი დამნაშავეები კვლავ „ვიზიტად“ ეწვივნენ საბჭოთა კორესპონდენტს, ამჯერად მოსკოვის რადიოს წარმომადგენელს.

მოსკოვის რადიოს კორესპონდენტი ალექსანდრე დრუჟინინი ოჯახთან ერთად სახლიდან ზუსტად ორი საათით გავიდა. როდესაც საკორესპონდენტო პუნქტში დაბრუნდა, ნახა, რომ იქ ვიღაცას ყველაფერი გადაექმეთებინა, კარადები და მაგიდები დაეჩხრიკა, მაგრამ მოეპარა მხოლოდ უმნიშვნელო თანხა. ძვირფასმა რადიომოწყობილობამ, აპარატურამ, საოჯახო ნივთებმა რატომღაც არ დააინტერესა მძარცველები. ნიუ-იორკში საბჭოთა საკორესპონდენტო პუნქტების გაძარცვის წინა შემთხვევებთან განსხვავებით, ამჯერად ადგილობრივმა პოლიციამ არაჩვეულებრივი ოპერატიულობა გამოიჩინა და შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდა.

მართალია, დეტექტივებმა სანუგეშო ვერაფერი აცნობეს. დამნაშავეებს არ დაუტოვებიათ თითების ანაბეჭდიც კი. მათი კვალიფიკაცია საეჭვოდ მაღალი იყო.

მეტად საოცარია, რომ ქურდებს, რომლებიც საბჭოთა ჟურნალისტებით არიან დაინტერესებული, საეჭვოდ ერთანარი „ხელწერა“ აქვთ თავიანთ მუშაობაში.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ასეთი გაძარცვა მოხდა „პრავდის“, „სელსკაია ჟიზნის“, „იზვესტიის“ და, ბოლოს, მოსკოვის რადიოს საკორესპონდენტო პუნქტებში.

მთელი ჯემპით

კაირო, 24 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. სოლოვიოვი იუწყება: ნილოსის გადახიდვამდე რვა თვე დარჩა. სულ უფრო იზრდება სამუშაოთა ტემპი ასუანის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე, რაც წარმოებს საბჭოთა კავშირის დახმარებით. როგორც პრეს-კონფერენციაზე განაცხადა მინისტრმა სიდკი სოლეიმანმა, მაღლივი კაშხალის მშენებლობისათვის პასუხისმგებელმა, აგვისტოსა და სექტემბერში საკმე უაღრესად კარგად მიდიოდა ასუანში. ახლა ყოველდღიურად 6 ვეებერთელა გვირაბიდან ამოაქვთ 3 ათას კუბურ მეტრამდე კლდის ქანები. ზედა საფეხური გვირაბებისა, რომელთა დიამეტრი 15 მეტრია, უკვე გაბურღილია. კლდის ამოღებაზე გვირაბების ქვეშა საფეხურში სექტემბრის დამდეგიდან მუშაობს 4-კუბურმეტრიანი ექსკავატორი. „ურალმაშქანის“ ამ გიგანტმა სექტემბრის ოც დღეში გაიყვანა 111 გრძივი მეტრი გვირაბი.

გაბედული ოპერაცია

ჰანოი, 24 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა შეიარაღებული ძალები ნია-ჩანგის (სამხრეთი ვიეტნამი) პროვინციაში 23 სექტემბრის დილაადრიან შეიჭრნენ პროვინციის დიდი აეროდრომის ტერიტორიაზე, აფეთქეს და „ძლიერად დაზიანეს“ ორი ამერიკა-ნგოდინდიელთა „ს-47“ თვითმფრინავი, იუწყება ვიეტნამის სინფორმაციო სააგენტო.

სააგენტო ამ ოპერაციას უწოდებს „ყველაზე გაბედულ“ ოპერაციას სამხრეთ ვიეტნამში, რაც ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე განხორციელდა.

ტ. ნილსონის განცხადება

სტოკჰოლმი, 24 სექტემბერი. (საკდესი). იმედითა და მოლოდინით შეჰყურებს მთელი მსოფლიო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიას. მე ვიზიარებ ამ ოპტიმიზმსა და მჯერა, რომ ეს სესია შექმნის უკეთეს ატმოსფეროს პრაქტიკული კონსტრუქციული მუშაობისთვის. ვიდრე შექმნეს წარსულმა სესიებმა, განაცხადა შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტ. ნილსონმა თავისი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის ნიუ-იორკში გამგზავრების წინ.

ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებამ გვიჩვენა, განაგრძო მინისტრმა, რომ არსებობს მისაღები გზები და რომ, როგორც ჩანს, არის მისწრაფება გამოვნახოთ შემდეგიც როგორც ეს, ისე სხვა შესაძლო გზები.

ნილსონმა გამოთქვა იმედი, რომ გენერალური ასამბლეის XVIII სესია დაავალებს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტს ჟენევაში განაგრძოს მუშაობა.

ვის იცავენ ისინი.



ალაბამის შტატში: სკოლებს ზანგი მაგვევებისაგან. მხატვარ კამბის ნახატი გაზეთ „ლუმანიტედან“.

იმედის ახალი სხივი

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტები ს. ლოსევი და შ. საფათელიანი გვატყობინებენ:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიის მუშაობის მეოთხე დღე დაიწყო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ოჰირას განცხადებით.

დილის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია. სხდომათა დარბაზში, პრესისა და სახოგადოების ქანდარები გაჭედილი იყო ხალხით. ისინი ელოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის რეაქციას წინადადებებზე, რომლებიც 19 სექტემბერს წამოაყენა თავის სიტყვაში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

იაპონიის დელეგატის განცხადების შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ კენედი.

პრეზიდენტის სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების პრობლემებს.

დღეს, თქვა თავისი სიტყვის დასაწყისში პრეზიდენტმა, ღრუბლები რამდენადმე გაიფანტა, ისე, რომ იმედის ახალმა სხივებმა გამოანათა. 17 წლის მეცადინეობის შემდეგ, განაგრძო პრეზიდენტმა, პირველად გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯი, რათა შეზღუდულიყო გამალებული ატომური შეიარაღება. საბჭოთა კავშირმა, ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა ერთმანეთს შორის დადეს ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომელსაც უკვე შეუერთდა მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყანა.

„მსოფლიო ჯერ არ განთავისუფლებულა უკუნეთისაგან, — განაგრძო კენედიმ, — კონფლიქტებისა და კრიზისების აჩრდილები ჯერ კიდევ გვახვევია გარს ყოველი მხრიდან. მაგრამ დღეს ჩვენ ერთმანეთს ეხვდებით მზარდი იმედის ატმოსფეროში და შედარებითი სიმშვიდის პერიოდში. ჩემი აქ ყოფნა კრიზისის ნიშანი როდია, იგი რწმენის ნიშანია, მე იმისთვის არ მოვსულვარ აქ, რომ გაცნობოთ მშვიდობისათვის ახალი საფრთხისა ან ომის ახალი ნიშნების შესახებ“.

გენერალური ასამბლეის XVIII სესია

მშვიდობის წარმატება, აღნიშნა შემდეგ პრეზიდენტმა, მხოლოდ „დრამატული გამარჯვებებისაგან“ როდი ჯამდება. მშვიდობა არის აზრთა თანდათანობითი გამოცვლის, ძველი ბარიერების თანდათანობითი დანგრევის ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური პროცესი, „და რაც უნდა ნაკლებად შთამბეჭდავი იყოს მშვიდობის ძიება, ეს ძიება უნდა გაგრძელდეს“, — განაცხადა მან. კენედიმ აღნიშნა, რომ ახლა პაუზა დადგა ცივ ომში და არა მტკიცე მშვიდობა და განაცხადა, რომ მოსკოვის ხელშეკრულება ნიშანსვეტია, მაგრამ არა პანაკეი, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცადინეობას, რომლის მიზანი იქნება ახალ შეთანხმებათა შემდგომი ძიება. „თუ ჩვენ, — თქვა მან კერძოდ, — შეგძლებთ ეს პაუზა ნაყოფიერი თანამშრომლობის პეროდად გადავაქციოთ, თუ ორივე მხარე ახლა შეძლებს მიაღწიოს ახალ ნდობას და მნიშვნელოვან გამოცდილებას შეიძენს კონკრეტული თანამშრომლობის პირობებში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, თუ ჩვენ ახლა შევძლებთ ისეთივე გაბედული და შორსმჭვრეტელი ვიყოთ სასაკედიერო იარაღის კონტროლის საქმეში, როგორიც მისი შექმნის დროს ვიყავით, მაშინ, უეჭველია, ეს პირველი პატარა ნაბიჯი დასაბამს მისცემს გრძელსა და კეთილნაყოფიერ გზას“.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მოუწოდა ეცადონ ერთმანეთის შორის წინააღმდეგობისა და კონფლიქტების მოწესრიგებას. თუ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს, თქვა მან, რომლებსაც სულ სხვადასხვა ინტერესები აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში და ერთმანეთს „წინააღმდეგებიან იდეოლოგიური გადდებულებებით, შეიარაღებული არიან ატომური იარაღით, რომელიც ერთმანეთისთვის აქვთ დამიზნებული, და მიუხედავად ამისა, მაინც პოულობენ ინტერესების დამთხვევისა და შეთანხმების საფეხოს, მაშინ, ცხადია, სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ იგივე გააკეთონონ. არისდროს არ არის მეტისმეტად აღრე, განაგრძო პრეზიდენტმა სკადო რამე, არასოდეს არ არის მეტისმეტად გვიან მოლაპარაკების დაწყება, და ახლა სწორედ დროა მოვახსნათ ამ ასამბლეის დღის წესრიგიდან ბევრი სადავო საკითხი და მოლაპარაკების მაგიდასთან გადავიტანოთ. ახლანდელ მსოფლიოში პასუხისმგებლობის შეგნების დამადასტურებელია, დაუმატა კენედიმ, მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის მზადყოფნა.

შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს, როგორც მთავარ ატომურ სახელმწიფოებს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთი ქვეყნის ხალხების, მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების ხალხების და შთამომავლობის წინაშე. „ეს პასუხისმგებლობა, — განაგრძო კენედიმ, — ჩვენი ორი ქვეყნისაგან მოითხოვს ნაკლები უურადღება დავუთმოთ ჩვენს უთანხმოებებს და უფრო მეტი მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობებს. ჩვენი ქვეყნები მეტისმეტად დიდხანს ზრდიდნენ თავიანთ სამხედრო ბიუჯეტებს, ატომური იარაღის მარაგს და სრულყოფდნენ ჩვენს პლანეტაზე მთელი სიცოცხლის — ადამიანის, ცხოველისა და მცენარის — მოსპობის უნარს და ამავე დროს ოდნავადაც არ მატულობდა ჩვენი უშიშრობა“.

ამასთანავე კენედიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ შეინარჩუნოს თავიანთი სამხედრო ძლიერება. ეს განცხადება პრეზიდენტმა იმით დაასაბუთა, რომ შეერთებული შტატები თითქოს მოვალენი არიან დაიცვან ევრეთ წოდებული „თავისუფალი სამყარო“ და „თვითგამორკვევის“ პრინციპები რაღაც „საფრთხისა“ და „გამოწვევისაგან“.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა აღიარა, რომ მსოფლიოს ახლა „ბევრად უფრო სამიდო იარაღი სჭირდება, ვიდრე წყალბადის ბომბი, ბალისტიკური რაკეტა ან ატომური წყალქვეშა ნავია, და რომ ასეთი იარაღი არის მშვიდობიანი თანამშრომლობა“.

შემდეგ კენედიმ ზოგადად ილაპარაკა ამერიკის მთავრობის თვალსაზრისზე საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების შესახებ. ჩვენ, თქვა პრეზიდენტმა, უნდა განვაგრძოთ შემთხვევითი ან შეცდომით გამოწვეული ომის თავიდან აცილების ღონისძიებათა შეთანხმების ძიება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ, მათ შორის მთავარ ბუნქტებში საკონტროლო საგუშაგოების დაყენების მოწყობის შესახებ. ჩვენ კვლავ უნდა ვიბრძოლოთ, რათა შევთანხმდეთ შემდგომ ღონისძიებებზე, რომლებიც ლაგამს ამოსდებენ გამალებულ ატომურ შეიარაღებას, „კონტროლი გავუწიოთ ატომური იარაღის გადაცემას“, ხელჩადი მასალების მშვიდობიანი მიზნით გამოყენებას და ატომური იარაღის მიწოდებაში გამოცდების აკრძალვას სათანადო ინსპექციით. ჩვენ უნდა განვაგრძოთ შეთანხმების ძიება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ინფორმაციის უფრო თავისუფლად გაცვლის შესახებ.

კენედიმ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები „გაამხნევა“ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს გამონათქვამებმა გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლის დროს იმის შესახებ, რომ საჭიროა შეთანხმება კოსმოსურ სივრცეში ორბიტაზე შასობრივი მოსპობის იარაღის გაყვანის აკრძალვის შესახებ, და განაცხადა, რომ საჭიროა განაგრძონ ამ დარგში შეთანხმების ძიება.



პრეზიდენტმა განსაკუთრებით აღნიშნა აგრეთვე ის უდიდესი შესაძლებლობანი, რაც შეიქმნება, თუ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ერთად მოკიდებენ ხელს კოსმოსის კვლევას.

კენედიმ აღნიშნა, რომ მის მიერ ჩამოთვლილ ღონისძიებათა უმრავლესობა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მოითხოვს ყოველმხრივ კონსულტაციას მოკავშირეებთან და ახალ მიდგომას ციცი ომის პრობლემისადმი.

შემდეგ კენედი შეეხო მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დგას. მან აღიარა, რომ ცხოვრება წინ მიდის და საჭიროს ხდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებული წესდების გადასინჯვას, თუმცა მან არ დაახუსტა, თუ კონკრეტულად რა ჰქონდა მხედველობაში.

სამწუხაროდ, პრეზიდენტმა თავის სიტყვაში გვერდი ვერ აუარა ამერიკის პროპაგანდის ზოგიერთი გაცვეთილი მტკიცების გამეორებას იმის შესახებ, რომ თავისუფლება მხოლოდ დასავლეთშია და „იგი არ არის აღმოსავლეთში“. კენედის სიტყვის ეს ნაწილი სწორედ ამ ცივი ომის ამჟარა ხარკი იყო, რომლის ბოლოს მოღების საჭიროებისათვის ეს-ეს არის იგი მოუწოდებდა.

დასასრულ პრეზიდენტი შეჩერდა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემებზე. კენედიმ დაგმო რასობრივი დისკრიმინაცია ამერიკასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში და სინანული გამოთქვა, რომ ასამბლეის ზოგიერთი დელეგატი თვითონ განიცდის ამ დისკრიმინაციას ამერიკაში. მან განაცხადა, რომ ამერიკელთა უმრავლესობა, მათ შორის მთავრობა, გმობენ რასობრივ დისკრიმინაციას და ცდილობენ ბოლო მოუღონ მას.

ჯ. კენედის მითითებით

ვაშინგტონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რ. მაკნამარა და ამერიკის შეერთებული შტატების ბაზების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი მ. ტეილორი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის მითითებით დღეს გაფრინდნენ სამხრეთ ვიეტნამში, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტო.

ა. გიზენგას ჯანმრთელობა საფრთხეშია

ლეოპოლდვილი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ექვსი დღის შიმშილობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუარესდა ანტუან გიზენგას მდგომარეობა, იგი ძლიან დასუსტდა. ამასთან დაკავშირებით მან სთხოვა კონგოს ხელისუფალთ დართონ ნათესავების უკანასკნელად ნახვის უფლება, ნათქვამია აფრიკელთა სოლიდარობის პარტიის საგანგებო კომუნიკეში. არაერთგზისი მიმართვა ხელისუფალთადმი თხოვნით ჩაერიონ და გადაარჩინონ გიზენგა უპასუხოდ რჩება.

აფრიკელთა სოლიდარობის პარტიის კომუნიკეში მხილებულია ოფიციალურ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი გულგრილობა, რომლებმაც დიდი ხანია იციან პარლამენტის დეპუტატის შიმშილობის ამბავი, მაგრამ ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუშალონ კონგოელი პატრიოტის მამაცური ბრძოლის შესახებ ცნობების ფართო გავრცელებას.

ცენტრალური მთავრობის ხელისუფალთა ამ დანაშაულებრივ დამოკიდებულებას რომ ამხილებს, აფრიკელთა სოლიდარობის პარტია მოითხოვს მტკიცე ღონისძიებებს ანტუან გიზ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ოსტატები მანექანზე

თბილისის ცირკის ახალი სეზონი

ჩვენს დედაქალაქში უკვე რამდენიმე დღის წინ გაჩნდა თბილისის სახელმწიფო ცირკის სეზონის გახსნის მაუწყებელი აფიშები. ცირკის წინა შესასვლელი მოისტაცა პირველი გასტროლიორების სურათებით. აგერ ვეფხვები მანეჟზე, ცხენები მოჯირითენი, ბალეტის ოსტატების გამოსვლები. თვით ცირკის შენობაში კი დიდი მზადებაა, ასუფთავებენ მანეჟს, წმენდენ მხეცების სადგომებს, ალაგებენ მაყურებელთა დარბაზს. აქ 26 სექტემბრიდან იწყება წლევანდელი 1963–1964 წლების საცირკო სეზონი. კვლავ ახმაურდება ცირკის სანახაობათა მოყვარულებით მაყურებელთა ვეებერთელა დარბაზი.

— როგორი იქნება თქვენი წლევანდელი სეზონი, ვინ იქნებიან პირველი გასტროლიორები? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თბილისის სახელმწიფო ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ი. ყაზჩელს.

— ჩვენი წლევანდელი სეზონის პირველი საცირკო წარმოდგენა მრავალფეროვანი და საინტერესო იქნება, — აღნიშნა მან. — მაყურებლები ნახავენ ატრაქციონს „ვეფხვები“ რსფსრ დამსახურებული არტისტის ალექსანდრე ალექსანდროვის ხელმძღვანელობით.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოჯირითეები რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის ა. ყანთემიროვის ხელმძღვანელობით. გამოვლენ საჰაერო მოვარჯიშენი მაცაბრიძეები, ველოფიგურისტები ალექსანდროვები, პლასტიკური ეტიუდის შემსრულებელი კონშინა, ძალოსანი აკრობატები ზუევი და ტერდიჩნი. მსახიობი შაკუნოვა გამოიყენებს თავის გაწვრთნილ ძაღლებს, გორშუტაევა კი გაწვრთნილ თხებს. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე კლოუნები ვალოდნი და ბისტროვი. მთელ საღამოს ხალიჩასთან იქნებიან კარანტინისი და ლებინი.

პირველად გაეცნობიან ჩვენი მაყურებლები მოსკოვის საბალეტო ანსამბლს პეტრე გორდნიცკის ხელმძღვანელობით.

— რას იტყვით ჩვენი ქართული საცირკო კოლექტივის შესახებ? როდის იწყებს იგი გამოსვლებს ჩვენს ქალაქში?

ქართული საცირკო კოლექტივი, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ს. თედიაშვილი ხელმძღვანელობს, თითქმის ორი წლის განმავლობაში საგასტროლო მოგზაურობაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში. ქართველების გამოსვლას დიდი მოწონებით ხვდებოდნენ, როსტოვის, სარატოვის, ყაზანის, პერმის, ასტრახანის, დუშანბეს, აშხაბადის, ალმა-ატის და სხვა ქალაქების მცხოვრებლები.

ამჟამად ქართველი ცირკის ოსტატები ისვენებენ. მალე ისინი ახალი პროგრამით წარსდგებიან თბილისელი მაყურებლების წინაშე, შემდეგ კი თავიანთ ხელოვნებას გააცნობენ ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლებს.

წელს ქართულ საცირკო კოლექტივს გარდა თბილისის სტუმარი იქნებიან ჩვენი ქვეყნის საცირკო ხელოვნების მრავალი გამოჩენილი ოსტატი.



ნლითიწლოგით იზრდება საქართველოს საზღვაო ჭიშკრის — ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვა. მიმდინარე წლის რვა თვეში ფოთელმა მეზღვაურებმა გემის გადამეტებით გადაამუშავეს 54 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები. **სურათზე:** ქრომის მადნის დატვირთვა საფრანგეთისათვის გემ „უსოლიეზე“.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

გულთბილი გაცილება

88 წელია ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ემსახურებოდა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ოლგა თოთაძე. წლევანდელი სასწავლო წლიდან ამაგდარი მასწავლებელი პენსიაზე გავიდა. სოფელ უსახელოს (ცაგერი) 8-წლიანი სკოლის პედაგოგიურმა და მოსწავლეთა კოლექტივმა, სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის თანამშრომლებმა პენსიონერ მასწავლებელს ო. თოთაძეს გულთბილი გაცილება მოუწყეს. საღამო, რომელიც მის პატივსაცემად გაიმართა, გახსნა სკოლის დირექტორმა რ. ურთმელიძემ. გულთბილად მიესალმნენ თავიანთ საყვარელ მასწავლებელს ი. დავითულიანი, მ. ხეცურიანი, მ. თოთაძე, ც. გუგავა, რ. ჯაფარიძე და სხვები.

ნ. გუგავა.

ხელოვნების ქრონიკა

თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა თელაველ მაყურებელს კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრში უჩვენა ზ. ორინის „ფეხბურთელები“.

ჟ. მეთოდიშვილი, გ. ფინკო.

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ახალი სეზონის პირველ წარმოდგენად უჩვენა სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“. სპექტაკლის დადგმა განახორციელეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ა. ჩხარტიშვილმა და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ინასარიძემ.

ნ. პავლოვა.

ქ. ონის სახალხო თეატრმა ამ დღეებში ონელ მაყურებლებს უჩვენა ლევან გოთუას ისტორიული დრამა „ერეკლე მეორე“. სპექტაკლი დადგა და მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიგა ჯაფარიძემ.

დ. ხახიაშვილი.

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა კონცერტი თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობთა მონაწილეობით. საესტრადო კონცერტმა გულთბილად ჩაიარა და ზუგდიდელ მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

გ. ალშიბაია.

ძვირფასი საჩუქარი

ბათუმი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავისთვის მზადების დღეებში ძვირფასი საჩუქარი მიიღეს ბათუმის № 1 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელებმა. ახლახან აქ დამთავრდა ორსართულიანი სასადილოსა და კლუბის მშენებლობა. შენობის მეორე სართული დათმობილი აქვს კლუბს, რომელიც 400 მაყურებელს იტევს, აქვეა წითელი კუთხე, რადიოკვანძი, ფოტოლაბორატორია, ოთახები სხვადასხვა წრეობრივი მუშაობისათვის, ხოლო პირველი სართული მთლიანად დათმობილი აქვს სასადილოს, სამზარეულოსა და სამრეცხაოს.

„ბ“ კლასის ფეხბურთელთა ასპარეზობა

გადამწყვეტი დღეები დგება „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა პირველი ზონის გუნდების ასპარეზობაში. ახლა პირველი ადგილის პრეტენდენტი სამი გუნდია: „დინამო“ (ყიროვაბადი), „დინამო“ (ბათუმი) და „მეტალურგი“ (რუსთავი).

ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა უფერულად ჩაატარეს უკანასკნელი მატჩები მოლდავეთში. „ნისტრულისა“ (ბენდერი) და ბათუმის „დინამოს“, აგრეთვე „ლუჩაფერულისა“ (ტირასპოლი) და სოხუმის „დინამოს“ შეხვედრები უშედეგოდ (0:0) დამთავრდა, ხოლო რუსთავის „მეტალურგმა“ მოულოდნელად წააგო შეჯიბრების აუტსაიდერ ბელცის „სპარტაკთან“ (0:1).

ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს ლიდერთა შეხვედრებს ერთმანეთთან. ხვალ რუსთავში ადგილობრივი „მეტალურგი“ მიიღებს გთამაშების ლიდერს ყიროვაბადის „დინამოს“. 1 ოქტომბერს ყიროვაბადში გაიმართება კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა — ადგილობრივი „დინამო“ მიიღებს თავის ბათუმელ თანაკლუბელებს.

კუბელები სამშობლოში მიემგზავრებიან

რუსთავი. (საკ. კორ.). ერთ წელიწადს სწავლების შემდეგ კუბელი ახალგაზრდები დღეს სამშობლოში გაემგზავრებიან. მათი გამგზავრების წინ მეტალურგთა კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც გახსნა კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ნვერავამ.

კუბელ ახალგაზრდებს ხასწავლო წლის წარმატებით დამთავრება მიულოცეს და სამშობლოში ბედნიერი დაბრუნება უსურვეს ქალაქის ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ვ. ტრაპაიძემ, მ. გეგეშიძემ, მ. ასანიშვილმა და სხვებმა. შემდეგ სიტყვა ითხოვეს კუბელი ახალგაზრდების ხელმძღვანელებმა ორესტე მოიან და მანუელ ხიმენესმა. მათ გულთბილი მადლობა გადაუხადეს რუსთავის № 8 პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგებს, რომლებმაც შეასწავლეს კუბელ ახალგაზრდებს სოფლის მეურნეობის სპეციალობანი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი თავიანთი შრომით საკუთარ ნვლილს შეიტანენ რევოლუციური კუბის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

დასასრულ კუბელი ახალგაზრდებს პატივსაცემად კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო ესტრადაზე გაიმართა დიდი კონცერტი.

ახალი სკოლა — გავშვებს

ბოლნისი. (საკ. კორ.). ვიდრე დაბა ბოლნისში შეხვიდოდეთ, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ოთხსართულიანი ახალი, ლამაზი საშუალო სკოლის შენობა. პირველ სექტემბერს აქ პირველად დაირეკა ზარი, ახალ საკლასო ოთახებში 500-მდე მოსწავლე შეუდგა სწავლას.

ბოლნისელი მოსწავლეები მადლობას უხდიან „მადნეულმშენის“ სამმართველოს კოლექტივს ასეთი საუკეთესო სასკოლო შენობის აგებისათვის.

ე. ი. ასათიანი

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1920 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ელენე ივანეს ასული ასათიანი. ე. ასათიანი დაბადებულა 1893 წელს (აზერბაიჯანი). აქვე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი.

1919 წლამდე ცხოვრობდა მონღოლეთში და იტიტიურ მონაწილეობას იღებდა მონღოლი ქალების განათლებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში.

1921 წლიდან ელენე ივანეს ასული ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის ქალთა განყოფილების გამგის მოადგილეა.

1931 წლიდან 1940 წლამდე თბილისშია და მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე.

ე. ასათიანი 1940 წლიდან პერსონალური პენსიონერია.

1962 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

დაუღალავი და კეთილსინდისიერი მუშაკის, კარგი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ელენე ივანეს ასულ ასათიანის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი აღზრდილებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

„ვოლგა“, „მოსკვიჩი“ ლატარიის ბილეთით

ტყიბული. (საკ. კორ.). სოციალისტური შრომის გმირის ჰელიმბილის გამაქვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ფევრმა კონსტანტინე ბაბრიაძემ ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების 1963 წლის (მეექვსე გამოშვების) ლატარიის 16996 სერიის № 384 ბილეთი, რომელსაც მოზეგად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“.

ჰიათურა. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის მაღაროს დამხმარე მუშამ ციალა ნოეს ასულმა გაფრინდაშვილმა ჰიათურის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების 1963 წლის (მეექვსე გამოშვების) ლატარიის 17388 სერიის № 388 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ოლიმპიადა

მორიგი მატჩები

გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, მოსკოვის „სპარტაკმა“ თავის მოედანზე ანგარიშით 2:0 სძლია ხარკოვის „ავანგარდს“. დონეცკის „შახტიორმა“ თავის მოედანზე სძლია (3:2) ტაშკენტის „პახტაკორს“. ტაშკენტელები გთამაშების ცხრილში მეოცე ადგილზე არიან და, მათი ცდები, თავი დააღწიონ მეორე ქვეჯგუფში გადასვლას, მარცხით მთავრდება.

ლენინგრადში ადგილობრივ „ზენიტთან“ მოგებით (1:0) მოსკოვის „ლოკომოტივმა“ თავი დააღწია „სახიფათო ზონას“.

მოსკოვში გთამაშების ლიდერი ადგილობრივი „დინამო“ ეთამაშებოდა თავის ლენინგრადელ თანაკლუბელებს. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მოსკოველებმა. ახლა მათ 40 ქულა აქვთ და მტკიცედ ლიდერობენ შეჯიბრებას.

დღეს მორიგ შეხვედრებს ჩაატარებენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები. კიშინიოვში „მოლდოვას“ წინაალმდეგ თამაშობს თბილისის „დინამო“, ხოლო როსტოვში ქუთაისის „ტორპედო“ გამოვა ადგილობრივი სკა-ს წინააღმდეგ.

ნ. გაფრინდაშვილის ორი გამარჯვება

სალიტში (იუგოსლავია) გრძელდება ქალთა მეორე საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა.

მეორე ტურში საბჭოთა მოჭადრაკე ქალები ეთამაშებოდნენ ბულგარეთის გუნდს. მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა სძლია საერთაშორისო ოსტატ ასენოვას, ხოლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ზატულოვსკაია უკამზე შეუთანხმდა საერთაშორისო ოსტატ ივანოვას. ამგვარად საბჭოთა და ბულგარელ მოჭადრაკეთა შეხვედრის ანგარიში 1,5:0,5 საბჭოთა მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

გუშინ დილით დამთავრდა პირველი ტურიდან გადადებული პარტიები. ნონა გაფრინდაშვილმა სძლია საერთაშორისო ოსტატ კარაკაშს (უნგრეთი). ამგვარად საბჭოთა მოჭადრაკეებმა სძლიეს უნგრეთის გუნდს ანგარიშით 2:0.

ახლა საბჭოთა კავშირის გუნდს 4 თამაშიდან 3,5 ქულა აქვს და ლიდერთა ჯგუფშია.

ფიდეს კონგრესზე

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესმა დაამტკიცა უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებების გეგმა. მიმდინარე წლის ბოლომდე გაგრძელდება მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირების გთამაშება როგორც ვაკთა, ისე ქალთა შორის. ოქტომბერში ჰოლანდიაში ჩატარდება ასპარეზობა პირველ ევროპულ ზონაში. როგორც ცნობილია, შეჯიბრება მეორე ევროპულ ზონაში უკვე ჩატარდა. აქ გაიმარჯვეს გროსმაისტერებმა ლ. პორტიშმა (უნგრეთი) და ბ. ლარსენმა (დანია). მატჩი მესამე საპრიზო ადგილისათვის მოეწყობა ბელგრადში გროსმაისტერებს ბ. ივკოვსა (იუგოსლავია) და კ. რობაჩს (ავსტრია) შორის.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადისათვის ზონალური ტურნირის მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ ჩემპიონატებს. ამერიკის შეერთებული შტატებიდან ამ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მიენიჭათ გ. გრესერსა და ლ. ლენს. აღმოსავლეთ ევროპის ზონაში გაიმარჯვეს მ. თოდორესკუმ (რუმინეთი), გ. კონარკოვსკამ (პოლონეთი), ბ. კარაკაშმა (უნგრეთი) და კ. ერეტოვამ (ჩეხოსლოვაკია). ნოემბერში მოეწყობა შეჯიბრება დასავლეთ ევროპულ ზონაში.

მორიგი XVI საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა მოეწყობა 1964 წლის 2-24 ნოემბერს ტელ-ავივში (ისრაელი). საზონთაშორისო ტურნირი გაიმართება ჰოლანდიაში, პრეტენდენტ ქალთა ტურნირი — საბჭოთა კავშირში, სტუდენტთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი მოეწყობა ავლისში პოლონეთში.

ჩეხოვის ბაღის ნაყოფი

სიახლე ა. პ. ჩეხოვის იალტის სახლ-მუზეუმში

სახლის გარშემო მდებარე ბაღში, რომელიც მწერალმა ოდესღაც საკუთარი ხელით გააშენა, ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა ატმის ხე. იგი აქ ცოტა ხნის წინათ გაჩნდა. ნიკიტსკის ბოტანიკურ ბაღში გამოყვანილი იქნა ახალი ჯიშის ატამი, რომელსაც „ჩეხოვური“ ეწოდა. მეცნიერმა თანამშრომელმა ვსევოლოდ კორმილინმა, რომელიც კარგად იცნობდა ჩეხოვის დას, განსვენებულ მარიამ პავლეს ასულს, მუზეუმს საჩუქრად ჩამოუტანა ჯანსაღი ნერგი. მიმდინარე წლის ზაფხულში ხემ პირველი ნაყოფი გამოიტანა...

დიდი რუსი მწერლისადმი ხალხის სიყვარულისა და მადლიერების გამომხატველ ნიშნებს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით მის სახლ-მუზეუმში.

ჩეხოვის სახლის აივანზე სუფრაგადაფარებული ფიცარი მაგიდა დგას. მის გარშემო ხშირად იკრიბებოდნენ მწერლის ოჯახის წევრები, მისი სტუმრები. ახლა მაგიდას აფარია პოლიქროლორვინილის თხელი გამჭვირვალე აფსკა. იგი გამოგზავნეს ციმბირის ქალაქ ომსკის ახალგაზრდა მუშებმა, რომლებმაც მანამდე დათვალიერეს ეს მუზეუმი. ისინი წერდნენ: „ვინდა დახმარება გაგიწიოთ იმის დაცვაში, რაც საყვარელი მწერლის ხსოვნასთან არის დაკავშირებული“.

აი უჟანგავი ფოლადის დიდი ვერცხლისფერი თასი — იალტაში იგი დნეპროპეტროვსკიდან გამოგზავნეს. ამ ცოტა ხნის წინათ აქ იყო მეტალურგიული მოწყობილობის ქარხნის მუშების ჯგუფი. მათ თითქმის მთელი დღე გაატარეს მუზეუმში. მათ მიერ ძღვნად გამოგზავნილ თასზე გაკეთებული წარწერა მოწმობს მშრომელ ადამიანთა დიდ სიყვარულს ჩეხოვისადმი.

ვიტრინაში, სადაც თავმყრილია ჩეხოვის ნაწარმოებთა საზღვარგარეთული გამოცემანი, გამოჩნდა მწერლის ნაწერმოებთა ლამაზყდიანი სამტომეული და ოთხტომეული. ისინი გამოცემულია იტალიაში. მუზეუმს ისინი აჩუქა იტალიის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ ჯან კარლო პაიეტამ.

ამას წინათ აქ იყო ცნობილი იაპონელი კრიტიკოსი ხიძო კობაიასი. მან აუჩქარებლად მოიარა მუზეუმის ოთახები, დიდხანს შეჩერდა მწერლის კაბინეტში, იმ მაგიდასთან, რომელზეც ოდესღაც დაწერა „ალუბლის ბაღი“. დამთვალიერებელთა წიგნში იაპონელმა სტუმარმა ასეთი ჩანაწერი დატოვა: „ჩვენი პატივცემული მასწავლებლის ჩეხოვის სახლის დათვალიერებამ ძლიერ ამაღელვა და ბედნიერება მომანიჭა“.

...სახლ-მუზეუმის გვერდით მდებარე მთის ფერდობზე, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მზით გადატრუსული უშენი ადგილი იყო, ეს არის დამთავრდა ახალი შენობის აგება. მის ცენტრშია ვრცელი ნათელი დარბაზი, გვერდებზე კი მთელი რიგი მყუდრო ოთახები. შენობა აგებულია იალტელი არქიტექტორის ზინოვი პერემილოვსკის პროექტით და განკუთვნილია მუზეუმის „სასიცოცხლო სივრცის“ გასაფართოებლად.

სახლ-მუზეუმის დირექტორი ალექსანდრე ბელოშაპკინი გვიამბობს:

— ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მუზეუმის ახალი შენობის მნიშვნელობა. სამას კვადრატულ მეტრზე მეტ სასარგებლო ფართობს ვიღებთ. აქ მოთავსდება ისტორიულ-ლიტერატურული ექსპოზიცია, ჩეხოვის სახლის დიდი მაკეტი (ასე უფრო ადვილი იქნება მისი გასინჯვა!), აგრეთვე ადმინისტრაციული სასამსახურო სათავსები, რომელებსაც რამდენიმე ოთახი უჭირავს სახლ-მუზეუმის პირველ სართულზე. დარბაზში მოეწყობა მოხსენებები და ლექციები, ტრადიციული „ჩეხოვის დღეები“, რომელთაგან უკანასკნელი მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოეწყო.

სახლ-მუზეუმში აღვადგენთ მწერლის დედის ოთახს მეორე სართულზე, სადაც უკანასკნელ დრომდე ექსპონირებული იყო ისტორიულ-ლიტერატურული მასალები. მნახველთათვის გაიღება პირველი სართულის ოთახები, სადაც ჩერდებოდნენ მწერლის ნათესავები და სტუმრები, მათ შორის გორკი, ლევიტანი, კუპრინი, ბუნინი. ერთ-ერთ ოთახში ვვარაუდობთ შეეკრიბოთ ყველაფერი, რაც მოგვითხრობს მწერლის დისა და ერთგული მეგობრის ჩვენი მუზეუმის დამაარსებლის მარიამ პავლეს ასულ ჩეხოვას შესახებ. ამას წინათ მისი დაბადების მეასე წლისთავი აღვნიშნეთ.

არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ახლა შესაძლებლობა გვაქვს დასათვალიერებლად გამოვფინოთ მუზეუმის ფონდების ზოგიერთი ექსპონატები, თანაც ფრიად საინტერესო. მათ შორის არის, მაგალითად, ორიგინალური ხის საგარძელი, რომელიც მწერალს თვედორე შალიაპინმა აჩუქა; ერთ-ერთი თანამედროვის, ჩეხოვის ნიჭის პატივისმცემელი ქალის ძღვენი — ხისგან ნატურალური სდიდით ოსტატურად გამოჭრილი ძაღლის ფიგურა და ა. შ.

უღრმესი ინტერესი ჩეხოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი საიუბილეო დღეებთან როდია დაკავშირებული — ეს ყოველდღიური მოვლენაა. ჩვენს მუზეუმში ყოველდღე სულ ცოტა რვაასი კაცი მოდის. ეს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები არიან. ჩვენს მიზნად მიგვაჩნია, რაც შეიძლება სრულად დავაკმაყოფილოთ ყველა იმათი სურვილი, ვისაც უნდა უფრო მეტად და უფრო ღრმად იცნობდეს ჩეხოვს.

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი. ოდესღაც ჩეხოვი საფრანგეთის ქალაქ ნიცაში ყოფილა. ამ ქალაქის მცხოვრებნი ცხოველ ინტერესს იჩენენ მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. ამას წინათ იქ გავგზავნეთ ასამდე ფოტოსურათი, რომლებიც მოგვითხრობენ მწერალსა და მის თანამედროვეებზე, აგრეთვე ფოტოპირები წერილებისა, რომლებიც მას ნიციდან გაუგზავნია. ფრანგ მეგობრებს გაუგზავნეთ იმ მცენარეთაგან შედგენილი ჰერბარიუმი, რომლებიც ჩეხოვის ბაღშია (ისინი ორასამდეა!).

ოლიმპიადა

ოთბილისელები — გათამაშების ფინალში

ოქტომბერში თბილისში უნდა ჩატარდეს „იმედის თასის“ გათამაშების დასკვნითი ნაწილი. მასში მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკ ფეხბურთელთა ოთხი უძლიერესი გუნდი, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს თავიანთ ზონებში.

უძლიერესთა შორის თამაშის უფლება მოიპოვა საქართველოს ფეხბურთელთა გუნდმა. მან 6 თამაშიდან 5 მოიგო, 1 ფრედ დაამთავრა და დაიკავა პირველი ადგილი თავის ქვეჯგუფში. უკანასკნელი შეხვედრა საქართველოს ფეხბურთელებმა მოუგეს სომხეთის ნაკრებს ანგარიშით 3:0.

რედაქტორი

დ. მეიდლიშვილი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული

სასალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლად);

საბუთბალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი (წარმოებისაგან მოწყვეტით).

ასპირანტურაში მიიღებიან მოქალაქენი 35 (წარმოებისაგან მოწყვეტით) და 45 (წარმოებისაგან მოუწყვეტლად) წლის ასაკამდე, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ სამეცნიერო სპეციალობის პროფილის ან სამეურნეო მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

ასპირანტურაში შესვლის მსურველმა უნდა შეიტანოს განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): ა) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, ბ) დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, გ) ავტობიოგრაფია, დ) კადრების აღრიცხვის ფურცელი სამი ფოტოსურათით, ე) გამოქვეყნებული შრომების სია ან რეფერატი არჩეული სპეციალობის მიხედვით, ვ) მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი ცნობა (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან), ზ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, თ) საბუთები სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ი) ამონაწერი უმაღლესი სასწავლებლის (ფაკულტეტის) სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან (იმ პირებისათვის, რომლებიც ასპირანტურაში შედიან უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ).

საბუთების მიღება 10 ოქტომბრამდე. მისაღები გამოცდები 10-დან 30 ოქტომბრამდე.

ასპირანტურაში შესვლის მსურველები **გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:** სპეციალობაში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ჯავახიშვილის ქ. № 16. ტელ. 3-38-23.

თეატრები

25 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის — ფიროსმანი (მე-17 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლხეთის ცისკარი (მე-11 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩვეულებრივი სასწაული (მე-3 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **ფილარმონიის** საზაფხულო — მინიატიურების ანსამბლი „მხოლოდ სიცილით“.

კინო

25 სექტემბერი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ყველაზე ბატარებისათვის — კონცერტი, 18.20 — უფროსკლასელთათვის — „კომკავშირული აქტივის ტრიბუნა“, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.05 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ჩვენი ჯანმრთელობა“, 19.20 — „ინოფერმა“, 19.30 — მრეწველობის მუშაკთათვის — „რეპორტაჟი ხე-ტყის კომბინატიდან“, 20.00 — კინონარკვევი, 20.20 — კონცერტი, 20.45 — მხატვრული ფილმი „მოთხოვნამდე“, 22.15 — კვირის ამბები (რუსულ ენაზე).

25 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კომუნარების ბაღი** — შავი ნიღაბით, **ამირანი** (საზაფხულო), **ფილარმონიის ბაღი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ნაკადული, კოსმოსი** — ბატონი მასწავლებელი ჰანიბალი, **ისანი** (საზაფხულო)— ყვირილი ქუჩიდან, **სპარტაკი** — მზიური ველის სერენადა, **თბილისი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **დიდუბე** (საზამთრო), **თანამგზავრი, კიროვის სახელობის პარკი** — ნიკოლას ნიკლბის ცხოვრება და თავგადასავალი, **კომკავშირელი** — სამი მუშკეტერი (I-II სერია), **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — სამი პლუს ორი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ჩვენ ვუნდერკინდები ვართ, **საქართველო** (საზაფხულო) — მენდი.

26 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.25 — მსუბუქი მუსიკა, 11.15 — კონცერტი გერშვინის ნაწარმოებებიდან, 12.10 — მეცნიერი მიკროფონთან — „დავიცვათ საქართველოს ფაუნა“, 12.25 — მხატვრული თვითმოქმედებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 13.40 — ყაზახური მელოდიები, 17.15 — შ. აზმაიფარაშვილის სიმფონიური პოემა „ყვარლის შთებს“, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „წიგნის თაროზე“, 18.10 — მუსიკალური რადიოგიქტორინა, 18.45 — ს. ციხლაძე. პიესები ვიოლონჩელისათვის, 19.30 — საუბარი — „ხალხთა ლენინური მეგობრობა დიადი ძალაა“, 20.15 — ვერდის ოპერა „რიგოლეტო“, 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილ ლებლ — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲣᲪ 00765

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

4